

# შპს „სტანდარტის“

ნარჩენების აღდგენის (ნარჩენი ზეთების  
გადამუშავების) საწარმოო ობიექტისა  
და სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი  
ზეთების) დროებითი შენახვის  
ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაციის

## სკრინინგის ანგარიში

2023 წელი

### სარჩევი:

1. შესავალი.....	3
------------------	---

2. სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველი.....	4
3. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ (საქმიანობის მახასიათებლები, მათ შორის საქმიანობის მასშტაბი).....	6
3.1. პროექტის აღწერა / დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლები.....	8
4. საქმიანობის განხორციელების ადგილი.....	13
4.1. საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა.....	16
5. ობიექტის წყლმომარაგება-წყლარინების საკითხები.....	19
6. საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი.....	20
6.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....	21
6.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....	25
6.3. წყლის გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი.....	28
6.4. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი.....	30
6.5. ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი.....	31
7. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი.....	33
8. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება.....	35
9. ზემოქმედების შესაძლო ხარისხი, კომპლექსურობა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (გზმ-ის) პროცედურის ჩატარების მნიშვნელობის განსაზღვრა.....	36
9.1. შესაძლო ზემოქმედების შემაჯამებელი ცხრილი.....	37
10. დანართები.....	42

## 1. შესავალი:

შპს „სტანდარტი“-ს საქმიანობის სფეროს განეკუთვნება მეორადი ზეთების გადამუშავება, რა მიზნითაც კომპანია გეგმავს სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტისა და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციას ქ. რუსთავში. საქმიანობის განმახორციელებელი კომპანიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს დაგეგმილი საქმიანობის, ქვეყანაში მოქმედ გარემოსდაცვით ნორმებთან/სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. აღნიშნული გარემოებისა და საკანონმდებლო მოთხოვნათა საფუძველზე შპს "სტანდარტი"-ს დაკვეთით შემუშავდა მეორადი ზეთების გადამუშავებელი (ნარჩენების აღდგენის) ტექნოლოგიური ხაზის და სახიფათო ნარჩენების (ნარჩენი ზეთების) დროებითი განთავსების ობიექტი მოწყობა-ექსპლუატაციის სკრინინგის ანგარიში.

მიუხედავად ნარჩენების აღდგენის ოპერაციების დროს გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სახეებისა, პროექტი გარემოსდაცვით ხასიათს ატარებს და მიმართულია ქვეყანაში ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესებისკენ/ხელშეწყობისკენ.

სკრინინგის ანგარიში მოიცავს სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტისა და ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციის დახასიათებას და საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზს.

სკრინინგის ანგარიში შედგენილი იქნა განსაზღვრული საქმიანობის, საპროექტო ტერიტორიის ადგილსპეციფიური გარემოებების სათანადო შესწავლის და პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ანალიზის საფუძველზე. წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიში მიზნად ისახავს ადმინისტრაციულ უწყებას მიაწოდოს ობიექტური ინფორმაცია და მისცეს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების საშუალება.

### საინფორმაციო ცხრილი N1

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „სტანდარტი“ (ს/კ 416358266)
იურიდიული მისამართი	ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქუჩა, II შესახვევი, N15, კორპუსი N3, ბინა N50ა
საკონტაქტო ინფორმაცია	ტელეფონი: 592 17 77 77
დაგეგმილი საქმიანობის სახე, კოდექსის შესაბამისად	ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა; 10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ქ. რუსთავი, ჯავახიშვილი ქუჩა N 9
ინფორმაცია სკრინინგის ანგარიშის მომამზადებლის შესახებ	შპს „გარემოსდაცვითი მომსახურების კომპანია“  მობ: 511 19 19 00; 591 81 75 05

## 2. სკრინინგის განცხადების მომზადების საკანონმდებლო საფუძველი:

ევროკავშირის მიერ განსაზღვრული დირექტივების/ვალდებულების შესრულების ფარგლებში საქართველომ მიიღო „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომელიც 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. საქართველოს კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“ არეგულირებს ისეთ სტრატეგიულ დოკუმენტთან და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებს, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე.

კოდექსი მოიცავს ორ (I; II) დანართს, სადაც მოცემულია საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც საჭიროებენ შესაბამისი გარემოსდაცვითი პროცედურის გავლას. I დანართის შემთხვევაში საქმიანობა ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ-ის) პროცედურას, ხოლო II დანართის შემთხვევაში – სკრინინგის პროცედურას (გარდა ამ კოდექსის მე-7 მუხლის მე-13 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა).

დაგეგმილი საქმიანობის სფეროს განკუთვნება მეორადი-ნარჩენი ზეთების დროებითი შენახვა და მეორადი-ნარჩენი ზეთების გადამუშავება. „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 10.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა - „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასწარი დამუშავებისა“, ასევე კოდექსის II დანართის 10.5 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა - „10 ტონაზე მეტი სახიფათო ნარჩენის დროებითი შენახვის ობიექტის მოწყობა“, კოდექსის შესაბამისად სკრინინგს დაქვემდებარებულ საქმიანობებს წარმოადგენს და საჭიროებს სკრინინგის პროცედურის გავლას. საკანონმდებლო მოთხოვნათა შესაბამისად შპს „სტანდარტის“ დაკვეთით შემუშავდა დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება, რომელიც სრულ თანხვედრაშია კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

„გარემოსდაცვითი შეფასები კოდექსის“ თანახმად, სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით სააგენტოში წარსადგენი სკრინინგის განცხადება უნდა აკმაყოფილებდეს კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მათ შორის საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა, უნდა შეიცავდეს: ა) მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ; ბ) ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების თაობაზე, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის შესახებ, GIS (გეოინფორმაციული სისტემები) კოორდინატების მითითებით (shp-ფაილთან ერთად), აგრეთვე ამ მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად შესაძლო ზემოქმედების ხასიათის თაობაზე; გ) ამ კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში – აგრეთვე ინფორმაციას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობისა და დაგეგმილი ცვლილებების შესახებ და აღნიშნული ცვლილებებიდან გამომდინარე შესაძლო ზემოქმედების თაობაზე.

კოდექსის მე-7 მუხლის 4<sup>1</sup> ნაწილის მიხედვით, სააგენტოსთვის წარდგენილ სკრინინგის განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ ინფორმაციას, უნდა დაერთოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის წერილი დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილის ფუნქციური ზონისა/ქვეზონისა და ამ საქმიანობის აღნიშნულ ზონასთან/ქვეზონასთან თავსებადობის შესახებ, ამ მუნიციპალიტეტის მიერ დამტკიცებული გენერალური გეგმის არსებობის შემთხვევაში.

რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორია ექცევა სამრეწველო ზონაში (იზ-1). სკრინინგის ანგარიშში **დანართის (N1)** სახით წარმოდგენილია ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის წერილი რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით განსაზღვრულ ზონაში/ქვეზონაში დაგეგმილი საქმიანობის თავსებადობის შესახებ.

სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ასევე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს, რომელთა განხილვის საფუძველზე სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ს:

ა) საქმიანობის მახასიათებლები:

ა.ა) საქმიანობის მასშტაბი;

ა.ბ) არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება;

ა.გ) ბუნებრივი რესურსების (განსაკუთრებით – წყლის, ნიადაგის, მიწის, ბიომრავალფეროვნების) გამოყენება;

ა.დ) ნარჩენების წარმოქმნა;

ა.ე) გარემოს დაბინძურება და ხმაური;

ა.ვ) საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი;

ბ) დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:

ბ.ა) ჭარბტენიან ტერიტორიასთან;

ბ.ბ) შავი ზღვის სანაპირო ზოლთან;

ბ.გ) ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები;

ბ.დ) დაცულ ტერიტორიებთან;

ბ.ე) დასახლებულ ტერიტორიასთან;

ბ.ვ) კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან;

ბ.ზ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან);

გ) საქმიანობის შედეგად გარემოზე შესაძლო ზემოქმედება:

გ.ა) ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი;

გ.ბ) ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა.

კოდექსის შესაბამისად დაგეგმილი საქმიანობის განმახლორციელებლის ვალდებულება საქმიანობის დაგეგმვის შედეგებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე სააგენტოს განსახილველად წარუდგინოს დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადება, ხოლო სააგენტოს პასუხისმგებლობაა სკრინინგის განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 10 დღისა და არაუგვიანეს 15 დღისა კოდექსის მე-7 მუხლით განსაზღვრული კრიტერიუმების განხილვის/ანალიზის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, ექვემდებარება თუ არა დაგეგმილი საქმიანობა გზშ-ის პროცედურას.

### 3. ინფორმაცია საქმიანობის შესახებ (საქმიანობის მახასიათებლები, მათ შორის საქმიანობის მასშტაბი):

დაგეგმილი საქმიანობა გულისმობს მეორადი-ნარჩენი ზეთების დროებითი შენახვის ობიექტისა და ნარჩენების (მეორადი-ნარჩენი ზეთების) აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის მოწყობა-ექსპლუატაციას. პროექტი ითვალისწინებს სახიფათო ნარჩენის - ნარჩენი ზეთების საწარმოო ობიექტზე მიღებას, დროებით განთავსებას და მათ აღდგენას.

„სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების II დანართის მიხედვით, ყველა სახის ნარჩენი ზეთი (გარდა საკვებად გამოყენებული ზეთებისა), კლასიფიცირებულია სახიფათო ნარჩენად. ამასთან, „ნარჩენების მართის კოდექსის“ მიხედვით **ნარჩენი ზეთი** ეს არის - მინერალური ან სინთეტიკური ლუბრიკანტი ან სხვა სახის საწარმოო ზეთი, რომელიც თავდაპირველი დანიშნულებით გამოყენებისთვის უვარგისი გახდა, კერძოდ, გამოყენებული ძრავის ზეთი, გადაცემათა კოლოფის ზეთი, საპოხი ზეთი, ტურბინის ზეთი, ჰიდრავლიკური ზეთი და სხვა.

საპროექტო აგრეგატში შესაძლებელია ნებისმიერი ტენიკური ზეთის რეგენერაცია, მათ შორის აღდგენილი იქნება: ნარჩენი ჰიდრავლიკური ზეთები; სატრასფორმატორო ზეთები; ტურბინების ზეთები; საავტომობილო ზეთები და სხვა. „სახეობებისა და მახასიათებლების მიხედვით ნარჩენების ნუსხის განსაზღვრისა და კლასიფიკაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 აგვისტოს N426 დადგენილების მიხედვით გადასამუშავებელი ნარჩენების კოდეზი იქნება:

---

13 01 09\*; 13 01 10\*; 13 01 11\*; 13 01 12\*; 13 01 13\*

---

13 02 04\*; 13 02 05\*; 13 02 06\*; 13 02 07\*; 13 02 08\*

---

13 03 06\*; 13 03 07\*; 13 03 08\*; 13 03 09\*; 13 03 10\*

---

13 05 06\*; 13 05 07\*; 13 05 08\*

---

საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებითა და „ნარჩენების მართის კოდექსის“ მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობა ნარჩენების აღდგენის ნაწილში შესაბამისობაშია R 9 ოპერაციასთან, ხოლო ნარჩენების დროებით განთავსების ნაწილში R 13 ოპერაციასთან.

დაგეგმილი საქმიანობის (სახიფათო ნარჩენის-ნახმარი ზეთების დროებითი განთავსება და დამუშავება) სპეციფიკის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია პროექტის ფარგლებში დაცული იქნეს „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნები და მითითებები. საქმიანობის განმახორციელებელი სახიფათო ნარჩენის - მეორადი ზეთების მართვას უზრუნველყოს ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების მკაცრი დაცვით, მათ შორის დადგენილებით განსაზღვრული მითითების შესრულების კონტროლს და განხორციელების ორგანიზებას უზრუნველყოფს ობიექტის გარემოსდაცვითი მმართველი.

ზემოაღნიშნული N145 დადგენილებით განსაზღვრულ სხვადასხვა მოთხოვნებთან ერთად პროექტის ფარგლებში დაცული იქნება ტექნიკური რეგლამენტის მე-10 და მე-11 მუხლით განსაზღვრული მოთხოვნები/მითითებები, მათ შორის:

- ✓ საქმიანობის განმახორციელებელი უზრუნველყოფს სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილმდებარეობის/ტერიტორიის დაცულობას სხვადასხვა ბუნებრივი მოვლენებისგან.
- ✓ ზედაპირული ან/და მიწისქვეშა წყლების დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით, სახიფათო ნარჩენების დროებითი შენახვის ადგილი აღჭურვილი იქნება სანიაღვრე-წვიმის წყლის შეგროვების სისტემით და ტერიტორია დაიფარება ჰიდროსაილოზიო საფარით, კერძოდ: დროებითი შენახვის ადგილი იქნება მობეტონებული; საცავის ტერიტორიაზე სანიაღვრე-წვიმის წყლების მოხვედრის პრევენციის მიზნით - საცავის განთავსების ადგილზე მოეწყობა თუნუქის კონსტრუქციის გადახურვა, რომელიც აღჭურვილი იქნება წყალსადინარი ღარი/საწვიმარი ღარით, ამასთან საცავის ტერიტორიის გარშემო დამატებით მოეწყობა წყალსარინი ბეტონის არხი (დაკავშირებული სანიაღვრე ქსელთან).
- ✓ სახიფათო ნარჩენების გარემოში მოხვედრის პრევენციისა და კონტროლის მიზნით, შენახვის ადგილი აღიჭურვება მაფრთხილებელი ნიშნებით (რომლებიც მიუთითებენ შენახულ სახიფათო ნარჩენებზე (კატეგორია, სახეობა)), ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა მოწყობილობებით.
- ✓ შენახვის ადგილის ქვედა ფენის (ძირი) დამზადება უზრუნველყოფილი იქნება ისეთი მასალისგან, რომელიც არ შედის რეაქციაში ან არ იწოვს შენახულ ნარჩენებს, წყალგაუმტარია და ითვალისწინებს ნარჩენების დაღვრის რისკს.
- ✓ დროებითი შენახვის ობიექტზე ზეთის ნარჩენის შესანახად გამოიყენებული ავზები მოთავსებული იქნება სითხეგაუმტარ შემოფარგლულ ტერიტორიაზე, რომელიც შეაკავებს თხევად სახიფათო ნარჩენებს დაღვრის ან ავარიის შემთხვევაში. კერძოდ, რეზერვუარებს გაუკეთდება ავარიული დაღვრის შემაკავებელი ბარიერი - ბეტონის შემოზინვა, რომლის შიდა სასარგებლო მოცულობა, ავარიული დაღვრის ეფექტური შეკავების მიზნით მეტი იქნება ყველაზე დიდი რეზერვუარის მოცულობაზე (რეზერვუარის ტევადობის 110%). შედეგად, შესაძლო დაღვრილი ნარჩენები არ მოხვდება გარემოში (ნიადაგში, მიწისქვეშა/ზედაპირულ წყლებში) და თავიდან იქნება არიდებული, როგორც შესაძლო ავარიული რისკები, ისე გარემოს თხევადი სახიფათო ნარჩენებით დაბინძურება.
- ✓ შესანახი ავზები აღჭურვილი იქნება გადავსების საწინააღმდეგო და გამართული განგაშის სისტემით.

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილება, ნარჩენი ზეთის მართვასა და დამუშავებაზე, ზოგადი მოთხოვნების გარდა აწესებს ასევე სპეციალურ მოთხოვნებს, რომელიც ასევე გათვალისწინებული და მკაცრად გაკონტროლებული იქნება დაგეგმილი საქმიანობის ფარგლებში, მათ შორის: ნარჩენი ზეთები შენახული იქნება დახურულ ავზებში, რომლებიც დაცული იქნება გაჟონვისგან და აღიჭურვება ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობით; ნარჩენი ზეთების აღდგენა მოხდება რეგენერაციის გზით.

საპროექტო ობიექტზე დაგეგმილი არ არის კვბ-ის შემცველი ნარჩენი ზეთების მიღება-დროებითი განთავსება და აღდგენა, შესაბამისად საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით კვბ-ის შემცველი ნარჩენი ზეთებთან დაკავშირებით განსაზღვრული მოთხოვნების/მითითებების დაცვის/შესრულების ვალდებულების საჭიროება არ დგას.

მეორადი/ნარჩენი ზეთით საწარმოო ობიექტის მომარაგება დაგეგმილია ადგილობრივი ბაზირდან. ნარჩენი ზეთის წარმოქმნის ლოკაციიდან საწარმოო ობიექტამდე სახიფათო ნარჩენი ზეთების შპს „სტანდარტის“ მიერ ტრანსპორტირების შემთხვევაში, კომპანია სახიფათო ნარჩენის ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N145 დადგენილებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

### **3.1. პროექტის აღწერა / დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლები:**

საწარმოო ობიექტის ტექნოლოგიური დანადგარების უმრავლესობა განთავსდება მობეტონებლ ტერიტორიაზე, კაპიტალურად გადახურულ ფართობზე. საპროექტო ინფრასტრუქტურის, მათ შორის სახიფათო ნარჩენის დროებითი საცავის, ნარჩენი ზეთების აღდგენის რეაქტორებისა და დამხმარე ერთეულების მოწყობა/სამონტაჟო სამუშაოები არ იქნება დაკავშირებული გრძელვადიან და ფართო მასშტაბიან სამშენებლო სამუშაოების წარმოებასთან. საპროექტო ინფრასტრუქტურის მოწყობითი/სამონტაჟო სამუშაოები გაგრძელდება მაქსიმუმ 2 თვის განმავლობაში.

განსახილველი ობიექტის შემადგენელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ერთეულებია: რეაქტორები (2ც.); პრესფილტრი; ავზები (კომპრესორის რესივერი 1ც. კონდენსატის ავზი 2ც.); მზა პროდუქციის საცავი; მაცივრები; სეპტიკი; ნედლეული საცავი; ბეტონიტის საწყობები; სახელოსნო (ინსტრუმენტების საწყობი); საკვამლი მილი (არსებული); გასახდელები და სველი წერტილები; სანიაღვრე ღია ტიპის არხი; ოფისი (იხ. რუკა N1 - საპროექტო ობიექტის გენერალური გეგმა).

სახიფათო ნარჩენის/ნარჩენი ზეთების დროებითი შენახვისა და აღდგენის ობიექტი იფუნქციონირებს წელიწადში 260 და თვეში 22 დღის განმავლობაში. ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესი, რომელიც ჰერმეტიულად დახურულ რეაქტორებში განხორციელდება, წარმართება დღეში მაქსიმუმ 10 საათის განმავლობაში და შესრულდება ერთი ტექნოლოგიური ციკლი.

საპროგნოზო გათვლებით ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის დღიური წარმადობა იქნება - 4მ<sup>3</sup>/10სთ ნარჩენების გადამუშავება და 3მ<sup>3</sup>/10სთ პროდუქციის (სუფთა ზეთის) წარმოება. დეტალური ინფორმაცია საპროექტო წარმადობისა და ტექნოლოგიური ციკლის, ასევე ტექნოლოგიური უზნების შესახებ მოცემულია ანგარიშის მომდევნო გვერდებზე (გვ 10-11-12).





ტექნოლოგიური ციკლის შესრულების მიზნით საპროექტო (N1) რეაქტორში (მოცულობით 8 მ<sup>3</sup>) ჩაიტვირთება 4 მ<sup>3</sup>-ის მოცულობის ნარჩენი ზეთი, რომლის გადამუშავების შედეგად მიიღება მაქსიმუმ 3 მ<sup>3</sup> (ნარჩენი ზეთის 90 %) მოცულობის პროდუქტი - ანუ სამუშაო დღის, მაქსიმუმ 10 საათის განმავლობაში, ტექნოლოგიური ხაზი გადაამუშავებს 4 მ<sup>3</sup> ნარჩენ ზეთს და მიიღებს 3 მ<sup>3</sup> სუფთა ზეთს/პროდუქტს. შესაბამისად თვის განმავლობაში (22 დღ x 3 მ<sup>3</sup>) მიღებული პროდუქციის რაოდენობა იქნება დაახლოებით 66 მ<sup>3</sup> (66 000 ლ), ხოლო წყლის განმავლობაში დაახლოებით 780 - 792 მ<sup>3</sup>-ს. უნდა აღინიშნოს რომ პროდუქტის გამოსავლიანობა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორებზე, როგორცაა ზეთის ტიპი, დაბინძურების ხარისხი, მოთხოვნა მიღებულ პროდუქტიაზე და ა.შ

### საპროექტო ობიექტის ტექნოლოგიური ციკლისა და ტექნოლოგიური უბნების დახასიათება:


- ✚ **ნამუშევარი/ნარჩენი ზეთის საწყობი** - საწარმოს ნამუშევარი ზეთები მიეწოდება, როგორც ავტოტრანსპორტით, ისე კასრებით და შესაბამისი ტუმბოს (წარმადობით 30 მ<sup>3</sup>/სთ,) მეშვეობით ივტირთება საპროექტო მიწისზედა ცისტერნებში/ავზებში. თითოეული ავზის მოცულობა შეადგენს 54 მ<sup>3</sup>. მიმღები ცისტერნებიდან ნამუშევარი ზეთი ტუმბოს (წარმადობით 30 მ<sup>3</sup>/სთ) და 63 მმ დიამეტრი მილების მეშვეობით გადაიქაჩება N1 რეაქტორში.
- ✚ **ბენტოლიტის საწყობები** - საწარმოს ბენტოლიტი მიეწოდება ირანიდან, 25-27 კგ დაფასოებული ტომრების სახით და თავსება შესაბამის საწყობებში. ბენტოლიტის თითო საწყობი წარმოადგენს 2 ცალ 30 ტონიან კონტეინერს, რომელშიც თავისუფლად დავსდება ერთჯერადად შემოტანილი 22-24 ტონა ბენტოლიტი. საწყობიდან, შესაბამისი საჭიროებისამებრ, ბენტოლიტი N1 რეაქტორს მიეწოდება ხელის ურიკით და ელექტრო ტელფერის (1 ტ) საშუალებით იყრება რეაქტორის მიმღებ ბუნკერში.
- ✚ **რეაქტორი N1** - რეაქტორი წარმოადგენს 8 მ<sup>3</sup> მოცულობის, ჰერმეტიულად დახურულ, ლითონის ავზს, ჩამონტაჟებული მიქსერით. რეაქტორი მუშაობს ბუნებრივ აირზე და ტექნოლოგიურ პროცესში მიღებულ აირებზე. რეაქტორში ხდება ზეთების რეგენერაციის ძირითადი პროცესი. რაც მდგომარეობს შემდეგში: მიუხედავად რეაქტორის მოცულობისა დანადგარში იტვირთება დაახლოებით 4000 ლიტრი (4მ<sup>3</sup>) სარეგენერირიო ზეთი, რომელსაც ემატება ბენტოლიტის გარკვეული რაოდენობა და ხდება მისი მუდმივად მორევა (რომ არ დაილექოს) და გაცხელება. ბენტოლიტის რაოდენობა და გაცხელების ტემპერატურა დამოკიდებულია სხვადასხვა ფაქტორზე, რომლებიც წინასწარ ლაბორატორიულად დგინდება. აგრეგატში შესაძლებელია ნებისმიერი ტენიკური ზეთის რეგენერაცია. შედარებით დაბალი ტემპერატურაა საჭირო ერთგვაროვან ზეთებზე, მაგ. როგორცაა: სატრანსფორმატორო, ტურბინის, ჰიდრავლიკური, ინდუსტრიული ზეთები და სხვა. აღნიშნული ტიპის ზეთების აღდგენისათვის მაქსიმალური ტემპერატურაა 160/240°C-მდე. ტემპერატურა ასევე დამოკიდებულია რა დონის დაბინძურებული ზეთი შემოვა და როგორია მოთხოვნა მზა პროდუქციის ხარისხზე, ამ შემთხვევაში ბენტოლიტის რაოდენობა მერყეობს 5/15% შუალედში. ნარჩენი საავტომობილო ზეთების შემთხვევაში, სადაც შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს არაერთგვაროვანი/შერეული სითხის შემოსვლას, პროცესი ითხოვს მაღალ ტემპერატურებს - 250/380°C (როდესაც მეტია მინერალური ზეთი ტემპერატურა ნაკლებია), ხოლო ბენტოლიტის რაოდენობა მერყეობს - 12/20 %-მდე. რეაქტორის გახურების პროცესი მიმდინარეობს ნელ-ნელა, საშუალოდ წუთში 1%.
- ✚ **კონდენსატის მაცივარი** - წარმოადგენს 16 მ<sup>3</sup> მოცულობის ავზს, რომელიც განლაგებულია ზეთის მაცივრის თავზე. მასში გადის მილი კონდენსატით, ხოლო გაციება ხდება წყლით.

- ✚ **ჰაერით გამაციებელი რადიატორი** - კონდენსატის უფრო სრულყოფილად გასაციებლად მიმდევრობით ეწყობა ჰაერის რადიატორი. მისი გავლის შემდეგ კონდენსატი საბოლოოდ გაცივდება. ტექნოლოგიური პროცესის ნარჩენებია: წყალი, კონტენსირებული სითხე და წვადი აირები: დარჩენილი წყალი, მიეწოდება საპროექტო ნავთობდამჭერ-სეპარატორს, საიდანაც გაწმენდის შემდგომ მოხვდება სეპტიკში; კონდენსირებული სითხე (თხელი ფრაქცია), რომელიც წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს, გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას (შპს „სანიტარი“) ან დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში შემდგომი აღდგენის ოპერაციებისთვის; წვადი აირები დაბრუნდება N1 რეაქტორის „ფარსუნკებში“ (სანათურებში), რომელიც გამოყენებული იქნება, როგორც საწვავი ბუნებრივ გაზის ნაცვლად.
- ✚ **კონდენსატის საცავი** - გაცივების შემდეგ დარჩენილი სითხე იკრიბება 2 ცალ ავზში, თითო 1,5 მ<sup>3</sup> მოცულობის. კონდენსატის საცავში ხდება წყლის დალექვა და მოშორება.
- ✚ **ზეთის მაცივარი** - N1 რეაქტორში საჭირო ტემპერატურის მიღწევის შემდეგ, არსებული მასა გადავა მაცივარში. მაცივარი წარმოადგენს 16 მ<sup>3</sup> მოცულობის ავზს, რომელშიც გადის 100 მმ დიამეტრის მილები ცხელი ზეთისთვის და რომელიც ცივდება მასში არსებული წყლით. გატარების სიჩქარე შეირჩევა ისე რომ გამოსასვლელში მიღებული იქნეს - 200 °C ტემპერატურა. შემდეგ ეტაპზე, ნარჩენი ზეთების აღდგენის ოპერაციები გრძელდება N2 რეაქტორში.
- ✚ **რეაქტორი N2** - რეაქტორი N2 წარმოადგენს რეაქტორი N1-ის ანალოგიას. N2 რეაქტორში გადადის შეგრილებული (200°C) თხევადი მასა. რეაქტორში ჩასხმის შემდეგ მასის ტემპერატურა ჩამოდის 165/175°C-მდე, რაც საჭიროა ფილტრებში გასატარებლად.
- ✚ **პრესფილტრი** - N2 რეაქტორიდან 30 მ<sup>3</sup>/სთ წარმადობის ტუმბოს მეშვეობით მასა გასაფილტრად მიეწოდება პრესფილტრს. ზეთი შედის საფილტრ კამერებში, სადაც მისი გაფილტვრა გათვალისწინებულია ნაჭრის ფილტრებით. აღნიშნულ პროცესში მონაწილეობას იღებს აგრეთვე ბენტოლიტის თიხა. სანამ ნაჭერს გადაეკვრება ბენტოლიტის ფენა ხდება ზეთის არასრულფასოვანი გაფილტვრა, ამიტომ სანამ ზეთი გასუფთავდება პირველადი პროდუქცია ჩაედინება პირველად ავზში (მოცულობით 300 ლიტრი), საიდანაც ტუმბოს (30 მ<sup>3</sup>/სთ) მეშვეობით უკან ბრუნდება N2 რეაქტორში ხელახალი გაფილტვრის მიზნით და შემდგომ კვლავ უბრუნდება პრესფილტრს. როდესაც ფილტრიდან გამოსული ზეთი საბოლოოდ გასუფთავდება, მისი განთავსება გათვალისწინებულია სუფთა ზეთის მიმღებ ავზში. პროცესის დასრულებისა და ფილტრების გაგრილების შემდგომ გათვალისწინებულია ფილტრების გახსნა, დაგროვილი ბენტოლიტის შესაბამის კონტეინერში შეგროვება, ავტოტრანსპორტზე დატვირთვა და შემდგომი უტილიზაციის მიზნით სათანადო ნერათვის მქონე კონტრაქტორი კომპანიისთვის (შპს „სანიტარისთვის“) გადაცემა.
- ✚ **სუფთა ზეთის მიმღები ავზი** - პრეფილტრიდან სუფთა ზეთი თვითდინებით გადავა 11 მ<sup>3</sup> მოცულობის ავზში. აღნიშნული მოცულობა სავსებით საკმარისია ერთ ჯერზე გამოსული პროდუქციის მისაღებად. ავზიდან ზეთი ტუმბის (30 მ<sup>3</sup>/სთ) მეშვეობით გადადის სუფთა ზეთის საცავში.
- ✚ **სუფთა ზეთის საცავი** - სუფთა ზეთის საცავი იდენტურია სუფთა ზეთის მიმღები ავზისა და მისი მოცულობაც ასევე 11 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს. საცავიდან გათვალისწინებულია მიღებული პროდუქციის შემდგომი რეალიზაცია. შესაძლო ავარიული რისკებისა და გარემოზე ზემოქმედების პრევენციის მიზნით წარმოებული პროდუქციის საცავებს, როგორც სუფთა ზეთის მიმღები ავზს, ისე სუფთა ზეთის საბოლოო განთავსების ავზს გაუკეთდება სათანადო სტანდარტის ბეტონის შემოზვინვა, რომლის შიდა სასარგებლო მოცულობა, ავარიული დაღვრის ეფექტური შეკავების მიზნით მეტი იქნება

რეზერვუარის მოცულობაზე (რეზერვუარის ტევადობის 110%). ამასთან, საცავების ტერიტორიაზე სანიაღვრე-წვიმის წყლების მოხვედრის პრევენციის მიზნით - მათი განთავსების ადგილებზე დამონტაჟდება თუნუქის კონსტრუქციის გადახურვა, შესაბამისი წყალსადინარი ღარებით, ხოლო ტერიტორიების გარშემო დამატებით მოეწყობა წყალსარინი ბეტონის არხი (დაკავშირებული სანიაღვრე ქსელთან).

- ✚ **საკვამლე მილი** - რეაქტორებიდან ნამწვი აირები შედის საკვამლე მილში და გაიფრქვევა ატმოსფერულ ჰაერში. მილის სიმაღლე შეადგენს 18 მეტრს, ხოლო დიამეტრი 630 მმ-ს.

ნახაზი N1 - ტექნოლოგიური სქემა



ობიექტზე დაცული იქნება, როგორც გარემოსდაცვითი, ისე უსაფრთხოების სტანდარტები და შესაძლებელი იქნება როგორც ნარჩენი ზეთის დროებითი განთავსების ობიექტის, ისე ნარჩენის აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის გამართული ოპერირება. საქმიანობის განმახორციელებელი კომპანია პერმანენტულად უზრუნველყოფს ტექნოლოგიური აღჭურვილობების გამართულობის მონიტორინგს და ნებისმიერი დაზიანება, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ავარიის რისკებთან ან/და გარემოს დაზუნძურებასთან დაუყოვნებლის აღმოიფხვრება.

#### 4. საქმიანობის განხორციელების ადგილი:

საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ქალაქ რუსთავში, ჯავახიშვილის ქუჩა N 9-ში, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ - 02.05.03.698). საპროექტო ტერიტორია წარმოდგენს სს "სარინის" საკუთრებას, რომელიც იჯარის ხელშეკრულების (იხ. დანართი N2) საფუძველზე შპს „სტანდარტის“ სარგებლობაშია.

საპროექტო ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსება დაგეგმილია ტერიტორიის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში (იხ. რუკა N1 და N2). საპროექტო არეალის მიხალოებითი GPS კოორდინატებია: X 502894, Y 4600620; X 502826, Y 502826; X 502825, Y 4600550; X 502964, Y 4600362; X 503015, Y 4600398; X 503020, Y 4600412; X 503030, Y 4600431, ხოლო უშუალოდ ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზის და დამხმარე ინფრასტრუქტურული ობიექტების განთავსების ტერიტორიის მიხალოებითი GPS კოორდინატებია: X 502845, Y 4600584; X 502836, Y 4600577; X 502831, Y 4600567; X 502826, Y 4600560; X 502832, Y 4600552; X 502831, Y 4600544; X 502839, Y 4600533; X 502859, Y 4600545; X 502855, Y 4600571.


რუსთავის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიხედვით დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორია ექცევა ქალაქის სამრეწველო ზონაში (იხ. რუკა N1-2). განსახილველ ტერიტორიას ემიჯნება სხვა სამრეწველო ზონის ტერიტორიები, ხოლო სამხრეთ მხარეს ესაზღვრება სატრანსპორტო ზონა (ტზ). უშუალოდ საქმიანობის განხორციელების ადგილიდან (აღმოსავლეთის მიმართულებით) მანძილი საცხოვრებელ ზონამდე დაახლოებით 210 მეტრს შეადგენს (იხ. რუკა N3). საკვლევი ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. მტკვარი) დაშორებულია დაახლოებით 2 კილომეტრით.

საპროექტო ტერიტორია ტექნოგენური ზემოქმედებით მნიშვნელოვნად სახეცვლილია. ტერიტორიაზე წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა სხვადასხვა საწარმო ობიექტები, მათ შორის ბოლო წლებში წარმოდგენილი იყო სს „სარინის“ ნავთობისა და ნავთობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარი. აღნიშნულ ობიექტზე გაცემული იყო სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა (N2; 28.01.1999), რომელიც საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 4 ივნისის N 2-823 ბრძანების შესაბამისად ძალადაკარგულად იქნა გამოცხადებული.

რუკა N2 (წყარო - [maps.municipal.gov.ge](http://maps.municipal.gov.ge))



რუკა N3



რუკა N4



რუკა N5



## 4.1. საქმიანობის განხორციელების ადგილი და მისი თავსებადობა:


**I - დასახლებულ ტერიტორიასთან:** განსახილველი ობიექტის განთავსება დაგეგმილი არ არის მჭიდროდ დასახლებული ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს. საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. რუსთავის სამრეწველო ზონაში. უშუალოდ საქმიანობის განხორციელების ადგილიდან საცხოვრებელ ზონამდე პირდაპირი მანძილი დაახლოებით 210 მეტრს შეადგენს (იხ. რუკა N3), ხოლო მანძილი უახლოეს იდენტიფიცირებულ საცხოვრებელ შენობა-ნაგებობამდე დაახლოებით 235 მეტრს (იხ. რუკა N6).

საპროექტო ტერიტორიის ფუნქციური ზონის, მათ შორის აღნიშნულ ტერიტორიაზე წლების განმავლობაში მოქმედი საწარმოო ობიექტ(ებ)ის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელებით დასახლებულ ტერიტორიასთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვლილება მოსალოდნელი არ არის. ტერიტორიაზე მოქმედი ყოფილი საწარმოს ფუნქციური დატვირთვის (ნავთობისა და ნავთობპროდუქტთა შემცველი ნარჩენების წვა) გათვალისწინებით ასევე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ - ვინაიდან დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ გულისხმობს ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვანი ზემოქმედების გამომწვევი ობიექტის ექსპლუატაციას (იხ. 6.1 ქვეთავი), ტერიტორიაზე განთავსებული ყოფილი სამრეწველო ობიექტის მიერ შექმნილ მდგომარეობასთან შედარებით ატმოსფერულ ჰაერზე მოსალოდნელი ზემოქმედება დადებით კონტექსტში შეიძლება.

გასათვალისწინებელია ასევე რომ საწარმოო ობიექტიდან ემისიები გაიფქვევა 18მ სიმაღლის მილიდან, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ატმოსფერული ჰაერის შესაძლო დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელების მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობებს და შესაძლო ზემოქმედების რიკებს. ობიექტის ფუნქციონირება არ გამოიწვევს ახლომდებარე დასახლებული ტერიტორიის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებას (იხ. 6.1 ქვეთავი).

ზემოაღნიშნული გარემოებების, მათ შორის ობიექტის განთავსების ადგილიდან უახლოეს დასახლებამდე დაშორების მანძილისა და ტერიტორიის ფუნქციური ზონის (სამრეწველო) გათვალისწინებით დგინდება, რომ საქმიანობის განხორციელების ადგილი თავსებადია დასახლებულ ტერიტორიასთან/ზონასთან. საწარმოო ობიექტის პარამეტრების/ტენიკური მახასიათებლების და გარემოსდაცვითი სტანდარტების დაცვის პირობებში შესაძლებელი იქნება განსახილველი საქმიანობის გამართული ოპერირება და უახლოეს დასახლებასთან მიმართებაში ფაქტობრივი მდგომარეობის უცვლელად შენარჩუნება.





**II - ჭარბტენიან ტერიტორიასთან:** atlas.mepa.gov.ge-ის და maps.gov.ge-ის მონაცემების გადამოწმებით დგინდება, რომ საკვლევი რეგიონის ფარგლებში წარმოდგენილი არ არის ჭარბტენიანი-დაჭაობებული ტერიტორიები. აღნიშნული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით დაგეგმილი საქმიანობის ან/და მისი განხორციელების ადგილის ჭარბტენიან-დაჭაობებულ ტერიტორიებთან თავსებადობის საკითხი შეფასებას არ საჭიროებს.

**III - შავი ზღვის სანაპირო ზოლთან:** საკვლევი ტერიტორიის მდებარეობის გათვალისწინებით, რომელიც საკმაოდ დიდი მანძილით არის დაშორებული შავი ზღვის სანაპირო ზოლიდან - ასევე დგინდება, რომ შეფასებას არ საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის ან/და მისი განხორციელების ადგილის შავი ზღვის სანაპირო ზოლთან თავსებადობის საკითხი.

**IV - ტყით დაფარულ ტერიტორიასთან, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები:** საქმიანობის ფარგლებში გათვალისწინებული არ არის ტყით დაფარული ტერიტორიის ათვისება. საქმიანობა ხორციელდება ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სადაც წარმოდგენილი არ არის ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები - შესაბამისად დგინდება, რომ საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია ტყით დაფარული ტერიტორიასთან, მათ შორის შესაძლო ზემოქმედების არეალში არ ექცევა საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები.

**V - დაცულ ტერიტორიებთან:** მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ ობიექტიდან უახლოესი დაცული ტერიტორია (გარდაბნის ალკვეთილი) დაახლოებით 8 კმ-ზე მეტი მანძილით არის დაშორებული. ობიექტის ადგილმდებარეობის და პროექტის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია დაცულ ტერიტორიებთან და საკითხი დამატებით შეფასებას არ საჭიროებს.

**VI - კულტურული მემკვიდრეობის ძეგლსა და სხვა ობიექტთან:** memkvidreoba.gov.ge-ის ინტერაქტიული რუკის მონაცემების მიხედვით, საკვლევ არიალში არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები/ობიექტები. კერძოდ, საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს არ არის განთავსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი/ობიექტი და ის არ ექცევა კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონებში - შესაბამისად, მასზე არ ვრცელდება "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნები. მოცემული გარემოების შესაბამისად დგინდება, რომ საქმიანობისთვის შერჩეული ტერიტორია თავსებადია ასევე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან და აღნიშნული ტიპის ობიექტებზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

**VII - საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ლანდშაფტურ, სარეკრეაციო და სატყეო ტერიტორიებთან (ზონებთან):** maps.municipal.gov.ge-ის ინტერაქტიული რუკის მონაცემებისა და ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის წერილის (იხ. დანართი N1) მიხედვით, დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორია ექცევა ქალაქის სამრეწველო ზონაში. განსახილველ ტერიტორიას დასავლეთით, ჩრდილოეთით და დმოსავლეთით ემიჯნება სხვა სამრეწველო ზონის ტერიტორიები, ხოლო სამხრეთ მხარეს ესაზღვრება სატრანსპორტო ზონა (ტზ). საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს/მომიჯნავედ წარმოდგენილი არ არის ლანდშაფტური, სარეკრეაციო ან/და სატყეო ზონები. atlas.mepa.gov.ge-ის მონაცემების მიხედვით, საკვლევ ადგილის სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის სახლემწიფო ტყის ტერიტორიები. maps.gov.ge-ის მონაცემების შესაბამისად ობიექტის სიახლოვეს წარმოდგენილი არ არის სარეკრეაციო ტერიტორიები. აღნიშნული გარემოებების შესაბამისად დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა და მისი განხორციელების ადგილი თავსებადია, როგორც ლანდშაფტურ, ისე სარეკრეაციო, სატყეო ტერიტორიებთან/ზონებთან და საკითხი დამატებით შეფასებას არ საჭიროებს.

ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის წერილის მიხედვით, სამრეწველო ზონა (იზ-1) არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს საწარმოო ობიექტები, რომელშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო/მავნე საწარმოო პროცესები. დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგით, რომელიც სწორედ გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო მავნე ზემოქმედების შეფასებას/ანალიზს გულისხმობს, დგინდება რომ პროექტის განხორციელებას არ ექნება მნიშვნელოვანი უარყოფითი ზემოქმედება გარემოზე ან/და ადამიანის ჯანმრთელობაზე (იხ. სკრინინგის ანგარიშის მე-6 თავი და შესაბამისი ქვეთავები). საქმიანობა თავსებადია სამრეწველო ზონასთან (იზ-1) და არ წარმოადგენს მავნე მრეწველობას, რომელმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს სოციალურ ან/და ბუნებრივ გარემოზე.

## 5. ობიექტის წყლმომარაგება-წყლარინების საკითხები:

საწარმო ობიექტზე წყლის გამოყენება დაგეგმილია სასმელ-სამურნეო, საწარმოო და სახანძრო მიზნებისთვის. ობიექტის წყალმომარაგება უზრუნველყოფილი იქნება ქ. რუსთავის წყალმომარაგების სისტემიდან. სახანძრო წყლის მარაგის შექმნის მიზნით საწარმო ობიექტზე განთავსდება დაახლოებით 5მ<sup>3</sup> მოცულობის წყლის ავზი, რომელიც შეივსება შესაბამისი საჭიროებისამებრ.

ტერიტორიაზე წარმოიქმნება სამურნეო-ფეკალური, საწარმოო და სანიაღვრე-წვიმის წყლები, რომელთა მართვა განხორციელდება გარემოსდაცვითი სტანდარტების, მოთხოვნებისა და ნორმების დაცვით, მათ შორის:


სამურნეო-ფეკალური წყლების მართვის/შეკრების მიზნით საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა 1 მ<sup>3</sup> მოცულობის ბეტონის საასენიზაციო სექტიკი/ორმო. სამურნეო-ფეკალური წყლები დაგროვების შესაბამისად განიტვირთება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულებისამებრ.

სანიაღვრე წყლების მართვის მიზნით საწარმო ობიექტზე მოეწყობა სანიაღვრე-წვიმის წყლების ღია ტიპის არხი, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიაზე წარმოქმნილი შესაძლო დაბინძურებული სანიაღვრე წყლების ორგანიზებულად შეკრებას და შესაბამისი ნავთობდამჭერის/ნავთობსეპარატორის გავლით საწარმო-სანიაღვრე წყლების სექტიკურ ავზზე (მოცულობით - 2 მ<sup>3</sup>) მიწოდებას. ამასთან, სახიფათო ნარჩენების-ნარჩენი ზეთების საცავის ისევე, როგორც წარმოებული პროდუქციის საცავების ტერიტორიაზე მოეწყობა თუნუქის კონსტრუქციის გადახურვა და წყალსარინი ბეტონის არხები (დაკავშირებული სანიაღვრე ქსელთან), ხოლო ავზები განთავსებული იქნება შემოზვინვის შიგნით - შესაბამისად სანიაღვრე-წვიმის წყლები მაქსიმალურად იქნება არიდებული პოტენციურად დამაბინძურებელი უბნებიდან. შემოზვინვის შიგნით ნედლეულისა და პროდუქციის საცავის ტერიტორიაზე შესაძლო დაღვრილი ზეთი დროულად იქნება ლოკალიზებული და მიეწოდება რეაქტორს შესაბამისი აღდგენის ოპერაციებისათვის.

საწარმო წყლებიდან (წყალი გამაგრილებელი სისტემიდან; ტენოლოგიური პროცესის ნარჩენი წყალი) - საწარმოო პროცესში გასაცეხლად გამოყენებული წყლის გარემოში მოხვედრა პრაქტიკულად არ მოხდება. გაგრილებისთვის გამოყენებულ წყალი მუდმივად ბრუნავს ტექნოლოგიურ ცილკლში, შესაბამის სისტემაში და მას არანაირი პირდაპირი შეხება არ აქვს აღდგენას დაქვემდებარებულ ნარჩენ ზეთებთან. ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი წყლის ნაწილი, რომელსაც უშუალო შეხება აქვს აღდგენას დაქვემდებარებულ ნარჩენ ზეთებთან, გაცხელების პროცესში ორთქლდება, ხოლო ნაწილი კონდენსირების პროცესის შემდგომ საპროექტო ნავთობდამჭერი-სეპარატორის გავლით ასევე მიეწოდება საწარმო-სანიაღვრე წყლების შემკრებ სექტიკს.

ორ კამერიანი (შიდა მხარეს ბეტონის საფარით დაფარული) ნავთობსეპარატორი/სალექარი (საერთო მოცულობით 1მ<sup>3</sup>) მოეწყობა საწარმო-სანიაღვრე წყლების შემკრებ სექტიკურ ავზთან და უზრუნველყოფს შესაძლო დაბინძურებული საწარმოო და სანიაღვრე წყლების ზღვრულ პარამეტრებამდე გაწმენდას. გაწმენდილი წყალი თვითდინებით გადავა სექტიკურ ავზში, საიდანაც ბუნებრივად შეიწოვება გრუნტში ან/და გამოყენებული იქნება ტექნიკური მიზნებისთვის - მათ შორის ტერიტორიის მორწყვისა და სახანძრო დანიშნულებისათვის. ნავთობსეპარატორის მიერ დაჭერილი ზეთიანი წყალი, დაგროვების შესაბამისად ამოღებული და გადამუშავებული იქნება საპროექტო, ნარჩენი ზეთების აღდგენის, ტექნოლოგიურ ხაზზე.

## ნახაზი N2



### 6. საქმიანობის განხორციელებით გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი:

განსახილველი ობიექტის საპროექტო მახასიათებლების ანალიზის შედეგად განხორციელდა გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი, მათ შორის გამოიკვეთა პოტენციური ზემოქმედების წყაროები, ხოლო ობიექტური შეფასებების საფუძველზე დადგინდა მოსალოდნელი ზემოქმედების შესაძლო ხარისხი და კომპლექსურობა. მომდევნო ქვეთავებში აღწერილია სკრინინგის პროცედურის შედეგად გამოვლენილი/გამოკვეთილი პოტენციური ზემოქმედების წყაროები, გაანალიზებულია მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელობა და მოცემულია შესაბამისი დასკვნები.

ნარჩენი ზეთის დროებითი შენახვისა და აღდგენის ობიექტის მოწყობის ეტაპი დაკავშირებული არ იქნება გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. კერძოდ: ობიექტის მოწყობა დაკავშირებული არ იქნება ბუნებრივი ლანდშაფტის ცვლილებასთან ან/და ახალი-გამოუყენებელი ტერიტორიის ათვისებასთან, როგორც უკვე აღინიშნა - საპროექტო ტერიტორია ანთროპოგენური ზემოქმედებით მნიშვნელოვნად სახეცვლილია; საწარმოს მოწყობის პროცესი არ გულისხმობს ფართომასშტაბიან სამშენებლო ან/და მიწის საექსკავაციო სამუშაოების წარმოებას, ამასთან ინფრასტრუქტურული ერთეულების მოწყობის/სამონტაჟის პროცესი გაგრძელდება მხოლოდ 2 თვის განმავლობაში. საწარმო ობიექტის ფუნქციონირებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე ძირითადად შესაძლოა დაკავშირებული იყოს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებასთან, რომელიც აღწერილია სკრინინგის ანგარიშის 6.1 ქვეთავში. განსახილველი ობიექტის ადგილმდებარეობის და საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით შესაძლო ზემოქმედების ანალიზს, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპისთვის, არ დაეკვემდებარა ბიოლოგიურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასება.

საერთო ჯამში, როგორც მე-6 თავის შესაბამის ქვეთავებში მოცემული განმარტებებიდან დასტურდება - საპროექტო მახასიათებლებისა და საქმიანობის მასშტაბის გათვალისწინებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე არ შეიძლება კვალიფიცირდეს, როგორც „მნიშვნელოვანი“, ხოლო ობიექტზე გარემოსდაცვითი და სისტემების ტექნიკური უსაფრთხოების სტანდარტების დაცვის პირობებში შესაძლებელი იქნება საწარმოს გამართული ოპერირება.

## 6.1. ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება და მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი:

დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების მასშტაბისა (რომელიც შემოიფარგლება საპროექტო ინფრასტრუქტურული ერთეულების ტერიტორიაზე მონტაჟით) და მოწყობითი სამუშაოების ხანგრძლივობის (რომელიც შემოიფარგლება მაქსიმუმ 2 თვით) გათვალისწინებით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საწარმოს მშენებლობის ეტაპი დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე დაკავშირებული იქნება ობიექტის, როგორც ნარჩენი ზეთების დროებითი საცავის, ისე ზეთების აღდგენის ტექნოლოგიური ხაზისა და მზა პროდუქციის შესანახი საცავის ექსპლუატაციის ეტაპთან. ემისიების წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში ძირითადად ადგილი ენება ნარჩენი ზეთების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესის დროს. ემისიები გაიფრქვევა 18 მ სიმაღლის მილიდან, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ატმოსფერული ჰაერის შესაძლო დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელების მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობებს და შესაძლო ზემოქმედების რიკებს. გაფრქვევები მოსალოდნელია მეორადი ზეთის მიმღები ავზები ნედლეულის ჩასხმის, შენახვის და გადატვირთვისას, მიღებული პროდუქციის ავზები გადატვირთვის, შენახვის და გაცემისას, ტექნოლოგიური გაზების წვის კამერა, ხოლო ატმოსფეროში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი, ნახშირჟანგი, ნახშირწყალბადები, ნახშირორჟანგი.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური ციკლის დროს წარმოქმნილი წვადი აირები ბრუნდება რეაქტორის სანათურებში („ფარსუნკებში“), რომელიც გამოყენებული იქნება, როგორც საწვავი ბუნებრივი გაზის ნაცვლად - **რაც ერთმნიშვნელოვნად შეამცირებს მოსალოდნელი ემისიის რაოდენობას და შესაძლო ზემოქმედებას ატმოსფერულ ჰაერზე.** შერჩეული ტექნოლოგიით ნარჩენების დამუშავება შეიძლება ითქვას არის ენერგიულად თვითკმარი პროცესი, ვინაიდან იგი თავადვე წარმოებულ ე.წ გაზსს მოიხმარს რეაქტორის ბლოკის გასაცხელებლად/სათანადო ტემპერატურის შესანარჩუნებლად.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა შეფასებისა და ანალიზის მიზნით განხორციელდა მოსალოდნელ ემისიათა რაოდენობრივი ანგარიში.

**ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში:**

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები :

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრულად დასაშვების კონცენტრაცია მგ/მ <sup>3</sup>		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
2754	ნახშირწყალბადები	1,0	-	4
301	აზოტის დიოქსიდი	0.2	0.04	2
0337	ნახშირჟანგი	5.0	3.0	4
-	ნახშიროჟანგი	-	-	-

**ნახშირწყალბადების გაფრქვევის ანგარიში მეორადი ზეთის მიღება-შენახვა-გადატვირთვისას, გ-1**

წლის განმავლობაში მიღებული ნედლეულის (მეორადი ზეთის) მაქსიმალური რაოდენობაა 1040 ტონა, ხოლო მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა წარმოებს ორი რეზერვუარის გაფრქვევის მილიდან. ნედლეულის მიმღებ ავზებში ჩატვირთვის, შენახვის და გადატვირთვის დროს გამოყოფილი ნახშირწყალბადების წამური ინტენსივობა იანგარიშება ლიტერატურული წყარო [3] -ის მიხედვით:

$$M = (Y_1 \times K_p^{\max} \times Q_{\text{ფ}}^{\max}) / 3600 \text{ -----(1), სადაც,}$$

Y<sub>1</sub> – რეზერვუარში ნავთობპროდუქტების ორთქლის კონცენტრაციაა, გ/მ<sup>3</sup>, მნიშვნელობა აღებული იქნება ლიტერატურული წყარო [9] მე-12 დანართის მიხედვით და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 0,324-ს.

K<sub>p</sub><sup>max</sup>- შესწორების კოეფიციენტი და მოცემულ შემთხვევაში (მიწისზედა რეზერვუარებისათვის) უდრის 0.9-ს.

Q<sub>ფ</sub><sup>max</sup> –ტუმბოს მწარმოებლურობაა (მ<sup>3</sup>/სთ) და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 30,0-ის.ფორმულაში შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$M = (0,324 \times 0,9 \times 30,0) / 3600 = 0,00243 \text{ გ/წმ.}$$

წლის განმავლობაში გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა კი გამოითვლება იმავე ლიტერატურული წყაროს მიხედვით შემდეგი ფორმულით:

$$G = (Y_2 \times B_{\text{ოს}} \times Y_3 \times B_{\text{ბლ}}) \times K_p^{\max} / 10^{-6} + G_{\text{xp}} \times K_{\text{მთ}} \times N_p \text{ -----(2), სადაც,}$$

Y<sub>2</sub> – რეზერვუარიდან გაფრქვეული ნავთობპროდუქტების გასაშუალოებული ხვედრითი კოეფიციენტი შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის, გ/ტ, მნიშვნელობა აღებული იქნება ლიტერატურული წყარო [9]-ის მე-12 დანართის მიხედვით და მოცემულ შემთხვევაში უდრის 0,2-ს.

B<sub>ოს</sub>- გადასხმული ნავთობპროდუქტების რაოდენობაა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში (ტონა) და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 520-ის;

Y<sub>3</sub>-რეზერვუარიდან გაფრქვეული ნავთობპროდუქტების გასაშუალოებული კოეფიციენტია გაზაფხული-ზაფხულის პერიოდისათვის, გ/ტ, მნიშვნელობა აღებული იქნება მეთოდის მე-12 დანართის მიხედვით და მოცემულ შემთხვევაში უდრის 0,2-ს

B<sub>ბლ</sub>-გადასხმული ნავთობპროდუქტების რაოდენობაა გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში (ტონა) და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 520-ის;

K<sub>p</sub><sup>max</sup> - შესწორების კოეფიციენტი და მოცემულ შემთხვევაში (მიწისზედა რეზერვუარებისათვის) უდრის 0,9-ს.

$G_{xp}$  -ნავთობპროდუქტების გაფრქვევები ერთ რეზერვუარში შენახვის დროს, მნიშვნელობა აღებული იქნება ლიტერატურული წყარო [9]-ის მე-13 დანართის მიხედვით და მოცემულ შემთხვევაში უდრის 0,066.

$K_{mn}$ -შემასწორებელი კოეფიციენტი, მნიშვნელობა აღებული იქნება მეთოდიკის მე-12 დანართის მიხედვით და მოცემულ შემთხვევაში უდრის 0,00027-ს.

$N_p$ -რეზერვუარების რაოდენობა და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 2-ის.

ფორმულაში შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$G = (0,2 \times 520 + 0,2 \times 520) \times 0,9 / 10^{-6} + 0,066 \times 0,00027 \times 2 = 0,000223 \text{ ტ/წელ.}$$

### ნახშირწყალბადების გაფრქვევის ანგარიში მიღებული პროდუქციის გადტვირთვა-შენახვა-გაცემისას, გ-2

მიმღებ ავზებში გადატვირთვის, შენახვის და გაცემის დროს გამოყოფილი ნახშირწყალბადების წამური ინტენსივობა ანალოგიურია მეორადი ზეთის მიღება-შენახვა-გაცემისას გამოყოფილი ნახშირწყალბადების წამური ინტენსივობისა, ამიტომ:

$$M = 0,00243 \text{ გ/წმ.}$$

წლის განმავლობაში გაფრქვეული ნახშირწყალბადების რაოდენობა კი გამოითვლება (2) ფორმულით:

$$G = (Y_2 \times B_{os} \times Y_3 \times B_{nl}) \times K_p^{max} \times 10^{-6} + G_{xp} \times K_{mn} \times N_p \text{-----}(2), \text{ სადაც,}$$

$Y_2$  – რეზერვუარიდან გაფრქვეული ნავთობპროდუქტების გასაშუალოებული ხვედრითი კოეფიციენტი შემოდგომა-ზამთრის პერიოდისათვის, გ/ტ, მნიშვნელობა აღებული იქნება ლიტერატურული წყარო [9]-ის მე-12 დანართის მიხედვით და მოცემულ შემთხვევაში უდრის 0,2-ს.

$B_{os}$ - გადასხმული ნავთობპროდუქტების რაოდენობა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში (ტონა) და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 390-ის;

$Y_3$ -რეზერვუარიდან გაფრქვეული ნავთობპროდუქტების გასაშუალოებული კოეფიციენტი გაზაფხული-ზაფხულის პერიოდისათვის, გ/ტ, მნიშვნელობა აღებული იქნება მეთოდიკის მე-12 დანართის მიხედვით და მოცემულ შემთხვევაში უდრის 0,2-ს

$B_{nl}$ -გადასხმული ნავთობპროდუქტების რაოდენობა გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში (ტონა) და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 390-ის;

$K_p^{max}$  - შესწორების კოეფიციენტი და მოცემულ შემთხვევაში (მიწისზედა რეზერვუარებისათვის) უდრის 0,9-ს.

$G_{xp}$  -ნავთობპროდუქტების გაფრქვევები ერთ რეზერვუარში შენახვის დროს, მნიშვნელობა აღებული იქნება ლიტერატურული წყარო [9]-ის მე-13 დანართის მიხედვით და მოცემულ შემთხვევაში უდრის 0,066.

$K_{mn}$ -შემასწორებელი კოეფიციენტი, მნიშვნელობა აღებული იქნება მეთოდიკის მე-12 დანართის მიხედვით და მოცემულ შემთხვევაში უდრის 0,00027-ს.

$N_p$ -რეზერვუარების რაოდენობა და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 1-ის.

ფორმულაში შესაბამისი მნიშვნელობების ჩასმით მივიღებთ:

$$G = (0,2 \times 390 + 0,2 \times 390) \times 0,9 \times 10^{-6} + 0,066 \times 0,00027 \times 1 = 0,0001404 \text{ ტ/წელ.}$$

**მავნე ნივთიერებების გაფრქვევის ანგარიში ტექნოლოგიური გაზების წვის და ბუნებრივი  
გაზის წვის კამერიდან, გ-3**

ა) ტექნოლოგიური პროცესის დროს ადგილი აქვს ბუთანი/მეთანის წარმოქმნას რაოდენობით 1,4 ტონა/წელი, ანუ 22 კუბ.მ/წელი(თხევადი აირის სიმკვრივის გათვალისწინებით, რაც უდრის 0,7ტ/კუბ.მ.-ს). ლიტერატურული წყარო [5] -ის თანახმად 1000კუბ.მ. თხევადი აირის წვისას გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: აზოტის დიოქსიდი - 0,0036ტონა, ნახშირჟანგი - 0.0089ტონა, ნახშირორჟანგი - 2 ტონა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გამოყოფილი გაზის რაოდენობა შეადგენს ნედლეულის საერთო რაოდენობის 1%-ს, მისი წვის ხანგრძლივობა ტოლი იქნება საერთო სამუშაო დროის 1%-ის, ანუ 26 საათის წლის განმავლობაში. აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით, გ-3 წყაროდან ტექნოლოგიური გაზების წვის შედეგად გაიფრქვევა:

**აზოტის დიოქსიდი**

$$M = 7,9 \times 0.0036 / 1000 = 0,00003 \text{ ტ/წელ};$$
$$G = 0,00003 \times 10^6 / (26 \times 3600) = 0,000321 \text{ გ/წმ};$$

**ნახშირჟანგი**

$$M = 7,9 \times 0.0089 / 1000 = 0,00011 \text{ ტ/წელ};$$
$$G = 0,00011 \times 10^6 / (26 \times 3600) = 0,0012 \text{ გ/წმ};$$

მაშინ როდესაც ტექნოლოგიური გაზები არ არის საკმარისი, საწვავად გამოიყენება ბუნებრივი აირი, რომლის ხარჯი დღეში ტოლია 35 მ<sup>3</sup>/სთ-ში ანუ წელიწადში 91 000 მ<sup>3</sup>/წელ.

ყოველ 1000 მ<sup>3</sup> ბუნებრივი აირის წვისას ატმოსფეროში გამოიყოფა 0.0089 ტონა ნახშირჟანგი, 0.0036 ტონა აზოტის ორჟანგი და 2 ტონა ნახშირორჟანგი, ამიტომ მათი წლიური გაფრქვევები შესაბამისად ტოლი იქნება:

$$G_{NO_2} = 0.0036 \times 91 = 0.033 \text{ ტ/წელი}$$

$$G_{CO} = 0.0089 \times 91 = 0,81 \text{ ტ/წელი}$$

ხოლო წამური გაფრქვევები ტოლი იქნება:

$$M_{NO_2} = 0.033 \times 10^6 / (2600 \times 3600) = 0.004 \text{ გ/წმ}$$

$$M_{CO} = 0,81 \times 10^6 / (2600 \times 3600) = 0.1 \text{ გ/წმ.}$$

საწარმო ფუნქციონირების შედეგად ატმოსფეროში გამოფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ჯამური გაფრქვევები ტოლი იქნება:

ნახშირწყალბადები  $M = 0,004 \text{ ტ/წელ};$   
 $G = 0,005 \text{ გ/წმ};$

აზოტის დიოქსიდი  $M = 0,03303 \text{ ტ/წელ};$   
 $G = 0,004321 \text{ გ/წმ};$

ნახშირჟანგი  $M = 0.81011 \text{ ტ/წელ};$   
 $G = 0,1012 \text{ გ/წმ};$



განგარიშებიდან დგინდება, რომ ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების კონცენტრაცია მცირეა და ობიექტის ფუნქციონირება არ გამოიწვევს ახლომდებარე ტერიტორიაზე ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მნიშვნელოვან გაუარესებას. გაფრქვევის ინტენსივობების სიმცირის, ასევე ტერიტორიაზე არსებული გარეგარემოს მილის პარამეტრების გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ რომ ობიექტის ფუნქციონირება დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერულ ჰაერზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, მათ შორის უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებაში.

განგარიშებიდან დგინდება, რომ საპროექტო საქმიანობის ექსპლუატაცია არ შეიძლება ჩაითვალოს ატმოსფერული ჰაერის ფონური მდგომარეობის ცვლილებისა და შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელოვან წყაროდ. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული, მათ შორის არასასიამოვნო სუნის გამომწვევე ნივთიერებების გაფრქვევის ინტენსივობები იმდენად მცირე იქნება, რომ მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობები უახლოეს დასახლებულ პუნქტთან, რომელიც 235 მეტრი მანძილით არის დაშორებული საკვლევი ობიექტიდან, ვერ გადააჭარმებს დასაშვებ მნიშვნელობებს.

ობიექტის ოპერატორი კომპანია უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტით (ატმოსფერული ჰაერის მავნე ნივთიერებებით დამაბინძურებელი საქმიანობებისთვის) განსაზღვრული ნორმების დაცვას. ამასთან, კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი იქნება ობიექტის მიერ ატმოსფერული ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერების თვითმონიტორინგის (პად ფორმების) წარმოება და ყოველწლიური ანგარიშების სააგენტოსთვის წარდგენა (<https://emoe.gov.ge/>).

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის უახლოეს დასახლებულ ზონამდე დაშორების მანძილისა გათვალისწინებით ირკვევა, რომ საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებით და არასასიამოვნო სუნის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რომელიც შესაძლოა დეტალურ შეფასებას/ანალიზს ან/და შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრას საჭიროებდეს.

## 6.2. ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი:

ვინაიდან პროექტის განხორციელება არ გულისხმობს მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და შემოიფარგლება მხოლოდ საპროექტო ინფრასტრუქტურული ერთეულების სამონტაჟო სამუშაოებით, რომელიც იწარმოებს მხოლოდ დღის განმავლობაში და დასრულებდა მაქსიმუმ 2 თვეში, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საწარმოს მოწყობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების ანალიზს დაექვემდებარება საწარმოს ექსპლუატაციის ეტაპი. ექსპლუატაციის ეტაპზე ხმაურის გავრცელება

დაკავშირებული იქნება ტექნოლოგიური ხაზის ოპერირებასთან, მათ შორის საპროექტო რეაქტორებისა და ტუმბოების მუშაობასთან.

განსახილველი ობიექტის ექსპლუატაციის დროს ხმაურის გავრცელებით სოციალურ გარემოზე შესაძლო ზემოქმედების სტანდარტიზაციის მიზნით მნიშვნელოვანია დაცული იქნეს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი - „საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და ტერიტორიებზე აკუსტიკური ხმაურის ნორმების შესახებ. წარმოდგენილი დადგენილებით განსაზღვრულია აკუსტიკური ხმაურის დასაშვები ნორმები საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი/საჯარო დაწესებულებების შენობების სათავსებში და მათი განაშენიანების ტერიტორიებზე.

### ცხრილი N2

№	სათავსებისა და ტერიტორიების გამოყენებითი ფუნქციები	დასაშვები ნორმები		
		L <sub>დღე</sub> (დბA)		L <sub>ღამე</sub> (დბA)
		დღე	საღამო	
1	სასწავლო დაწესებულებები და სამკითხველოები	35	35	35
2	სამედიცინო დაწესებულებების სამკურნალო კაბინეტები	40	40	40
3	საცხოვრებელი და საძილე სათავსები	35	30	30
4	სტაციონარული სამედიცინო დაწესებულების სამკურნალო და სარეაბილიტაციო პალატები	35	30	30
5	სასტუმროების/ სასტუმრო სახლების/ მოტელის ნორმები	40	35	35
6	სავაჭრო დარბაზები და მისაღები სათავსები	55	55	55
7	რესტორნების, ბარების, კაფეების დარბაზები	50	50	50
8	მაყურებლის/მსმენელის დარბაზები და საკრალური სათავსები	30	30	30
9	სპორტული დარბაზები და აუზები	55	55	55
10	მცირე ზომის ოფისების ( $\leq 100$ მ <sup>3</sup> ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკის გარეშე	40	40	40
11	დიდი ზომის ოფისების ( $\geq 100$ მ <sup>3</sup> ) სამუშაო სათავსები და სათავსები საოფისე ტექნიკით	45	45	45
12	სათათბირო სათავსები	35	35	35
13	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან დაბალსართულიან (სართულების რაოდენობა $\leq 6$ ) საცხოვრებელ სახლებს, სამედიცინო	50	45	40

	დაწესებულებებს, საბავშვო და სოციალური მომსახურების ობიექტებს			
14	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებს (სართულების რაოდენობა >6), კულტურულ, საგანმათლებლო, ადმინისტრაციულ და სამეცნიერო დაწესებულებებს	55	50	45
15	ტერიტორიები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნებიან სასტუმროებს, სავაჭრო, მომსახურების, სპორტულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს	60	55	50


მოსალოდნელი ხმაურის დონის მოქმედი დადგენილებით გათვალისწინებულ ნორმებთან შესაბამისობის განსაზღვრის მიზნით მნიშვნელოვანია - ტერიტორიაზე არსებული ხმაურის წყაროების, საწარმოს ექსპლუატაციის შედეგად მოსალოდნელი ხმაურის დონის, ხმაურის დონის გავრცელების საზღვრების და შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებული ობიექტ(ებ)ის იდენტიფიცირება.

ტერიტორიაზე ხმაურის ძირითადი პოტენციური წარმომქმნელი წყაროებია ტუმბოები და ნარჩენების აღდგენის დანადგარები-რეაქტორები. ობიექტზე მოსაწყობი 5 ერთეული ტუმბოს ხმაურის დონე, თითოეული მათგანისთვის არ აღემატება 45 დბ-ს, ხოლო მოძიებული ინფორმაციით საპროექტო ტიპის აღჭურვილობის - ნარჩენი ზეთების აღდგენის რეაქტორების ხმაურის მაქსიმალური დონე - 60 დბ-ს შეადგენს, თითოეული მათგანისათვის. შედეგად დგინდება, რომ ხმაურის მაქსიმალური ჯამური დონე, ყველა ხმაურწარმომქმნელი წყაროს ერთდროულად მუშაობის შემთხვევაში იქნება - 63.3 დბ.

$$\begin{aligned}
 &45\text{dB} + 45\text{dB} + 45\text{dB} + 45\text{dB} + 45\text{dB} + \\
 &60\text{dB} + 60\text{dB} = 63.3\text{dB} \\
 &10 \times \text{Log}_{10}\left(\frac{10^{45/10} + 10^{45/10} + 10^{45/10} + 10^{45/10} + 10^{45/10} + 10^{60/10} + 10^{60/10}}{10^{45/10} + 10^{60/10} + 10^{60/10}}\right)
 \end{aligned}$$

ხმაურის გავრცელებით გამოწვეული შესაძლო ზემოქმედების დადგენის მიზნით შესაბამისი ონლაინ პროგრამის საშუალებით განხორციელდა მოსალოდნელი ხმაურის დონეების მოდელირება. ხმაურის მიმღებ ანუ შესაძლო ზემოქმედებას დაქვემდებარებულ წყაროდ აღებული იქნა საწარმოს ტექნოლოგიური ხაზის განთავსების უბნიდან 235 მეტრში მდებარე შენობა-ნაგებობა. ონლაინ პროგრამის საშუალებით გაკეთებული მოდელირებით, სადაც გათვალისწინებული იქნა, როგორც შესაძლო ხმაურის მაქსიმალური დონე (63.3 დბ) და სიმძლავრე (500 Hz), ისე ხმაურის წარმოქმნის უბანსა და უახლოეს დასახლებას შორის არსებული მანძილი, დადგინდება რომ უახლოეს დასახლებამდე ხმაურის მაქსიმალური დონე **9.1 დბ-ს** იქნება და არ გადააჭარბებს 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით (<https://matsne.gov.ge/ka/document/download/3779710/0/ge/pdf>) განსაზღვრულ ხმაურის დასაშვებ ნორმებს.

## სურათი N1



მოცემული გარემოების, მათ შორის სამშენებლო სამუშაოების მასშტაბის, ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო ხმაურის დონის მოდელირების შედეგისა და უახლოეს დასახლებულ ზონამდე დაშორების მანძილის გათვალისწინებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან, რომელიც შესაძლოა დეტალურ შეფასებას/ანალიზს ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დასახვა-განხორციელებას საჭიროებდეს.

### 6.3. წყლის გარემოზე მოსალოდნელი შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი:

პროექტის განხორციელება, როგორც მშენებლობის, ისე ექსპლუატაციის ეტაპზე დაკავშირებული არ იქნება ზედაპირული ან/და მიწისქვეშა წყლის ობიექტების დაზიანებასთან. საკვლევი ობიექტის სამშენებლო ეტაპი არ გულისმობს ფართომასშტაბიან სამშენებლო ან/და მიწის საექსკავაციო სამუშაოების წარმოებას, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე ზემოქმედებასთან. ამასთან, განსახილველი ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. მტკვარი) დაშორებულია დაახლოებით 2 კილომეტრით, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს საწარმოო ობიექტის სამშენებლო სამუშაოების წარმოებით ზედაპირული წყლის ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების რისკებს.

საწარმოში ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება სამეურნეო-ფეკალური, საწარმოო და სანიაღვრე-წვიმის წყლების წარმოქმნას, რომელა გონივრული მართვა წყლის გარემოს დაზიანების პრევენციის ძირითადი განმაპირობებელი ფაქტორია. საქმიანობის სკრინინგით დგინდება, რომ ტერიტორიაზე წარმოქმნილი წყლის მართვის მოქნილი სისტემის გათვალისწინებით პროექტის განხორციელებას არ ექნება უარყოფითი ზემოქმედება ზედაპირულ ან/და მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე, მათ შორის დაგეგმილი არ არის

დაბინძურებული წყლების ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვება. კერძოდ, როგორც სკრინინგის ანგარიშის მე-5 თავში განიმარტა:

- ✓ საწარმოო ობიექტზე წარმოქმნილი სამურნეო-ფეკალური წყლები შეგროვდება შესაბამის საკანალიზაციო ავზში, საიდანაც დაგროვების შესაბამისად განიტვირთება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურის მიერ, გაფორმებული ხელშეკრულებისამებრ;
- ✓ სანიაღვრე წყლების მართვის მიზნით საწარმოო ობიექტზე მოეწყობა სანიაღვრე-წვიმის წყლების ღია ტიპის არხი, რომელიც უზრუნველყოფს ტერიტორიაზე წარმოქმნილი შესაძლო დაბინძურებული სანიაღვრე წყლების ორგანიზებულად შეკრებას და შესაბამის ნავთობდამჭერში/ნავთობსეპარატორში გაწმენდის შემდგომ სეპტიკური ავზისთვის მიწოდებას;
- ✓ საწარმოო წყლები/ტექნოლოგიური პროცესის შედეგად წარმოქმნილი ნარჩენი წყლის ნაწილი, რომელსაც უშუალო შეხება აქვს ალდგენას დაქვემდებარებულ ნარჩენ ზეთებთან, გაცხელების პროცესში ორთქლდება, ხოლო ნაწილი კონდენსირების პროცესის შემდგომ საპროექტო ნავთობდამჭერი-სეპარატორის გავლით ასევე მიეწოდება საწარმოო-სანიაღვრე წყლების შემკრებ სეპტიკს;
- ✓ გაწმენდილი საწარმოო და სანიაღვრე სუფთა წყალები სეპტიკიდან ბუნებრივად შეიწოვება გრუნტში, მათ შორის გამოყენებული იქნება საწარმოო ობიექტის ტექნიკური მიზნებისთვის - მაგ. ტერიტორიის მორწყვის ღონისძიებებისთვის ან/და სახანძრო დანიშნულებისათვის. **ზემოაღნიშნულის შედეგად დგინდება, რომ პროექტის ექსპლუატაციის ეტაპზე შესაძლო დაბინძურებული საწარმოო და სანიაღვრე წყლები გაწმენდილი იქნება დაშვებულ კონცენტრაციებამდე, ხოლო მათი გრუნტში ინფილტრაცია არ მოახდენს მნიშვნელოვან ზემოქმედება მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე.** ნავთობსეპარატორის მიერ დაჭერილი ზეთიანი წყალი, დაგროვების შესაბამისად ამოღებული და გადამუშავებული იქნება საპროექტო, ნარჩენი ზეთების ალდგენის, ტექნოლოგიურ ხაზზე;
- ✓ სახიფათო ნარჩენების-ნარჩენი ზეთების საცავის ისევე, როგორც წარმოებული პროდუქციის საცავის ტერიტორიაზე მოეწყობა თუნუქის კონსტრუქციის გადახურვა და წყალსარინი ბეტონის არხები (დაკავშირებული სანიაღვრე ქსელთან), ხოლო ავზები განთავსებული იქნება შემოზვინვის შიგნით - შესაბამისად სანიაღვრე-წვიმის წყლები მაქსიმალურად იქნება არიდებული პოტენციურად დამაბინძურებელი უბნიდან. შემოზვინვის შიგნით ნედლეულისა და პროდუქციის საცავის ტერიტორიაზე შესაძლო დაღვრილი ზეთი დროულად იქნება ლოკალიზებული და მიეწოდება რეაქტორს შესაბამისი ალდგენის ოპერაციებისათვის;

გრუნტის წყლის გარემოს შესაძლო დაბინძურების პრევენციის მიზნით, ზემოაღნიშნულის გარდა, გადატრებული იქნება სტანდარტული შემარბილებელი ღონისძიებები, მათ შორის: ნავთობსეპარატორის გამართულად ფუნქციონირების მუდმივი კონტროლი და დროული გაწმენდა; სანიაღვრე სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების მუდმივი კონტროლი და საჭიროებისამებრ დროული გაწმენდა; ავარიული დაღვრის შემაკავებელი ბარიერის/შემოზვინვის ტექნიკური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი და საჭიროებისამებრ დროული შეკეთება; შესაძლო დაღვრილი ნედლეულის ან/და პროდუქციის დროული ლოკალიზაცია და შემდგომი მართვის ღონისძიებების განხორციელება (იხ. 6.5);

შესაძლო დამაბინძურებელი უბნების სითხეგაუმტარი ბეტონის ფენის ტექნიკური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი და ა.შ

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული წყლის (ზედაპირული ან/და მიწისქვეშა) გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და აღნიშნული კუთხით დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების საჭიროება არ დგას.

#### **6.4. ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედების სკრინინგი:**

საპროექტო არეალის ფუნქციური ზონის და ტერიტორიაზე დამდგარი ანთროპოგენური ზემოქმედების გათვალისწინებით ობიექტის მოწყობა დაკავშირებული არ იქნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედებასთან. პროექტის განხორციელება არ გულისხმობს ბუნებრივი ლანდშაფტის ცვლილებას ან/და ახალი-გამოუყენებელი ტერიტორიის ათვისებას, ხოლო საპროექტო ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად წარმოდგენილი არ არის.

გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა უკავშირდებოდეს განსახილველი ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპს, დამაბინძურებელი ნივთიერებების დაღვრისა და გრუნტის ღრმა ფენებში გაჟონვის შემთხვევაში, ასევე ნავთობდამჭერი-სეპარატორის გაუმართავი ოპერირების შემთხვევაში. პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით დამაბინძურებელი ნივთიერებების გრუნტის ღრმა ფენებში გაჟონვის რისკები ნულამდე იქნება დაყვანილი, რაც მიიღწევა:

- შესაძლო დამაბინძურებელი უბნების სითხეგაუმტარი ბეტონის ფენით დაფართოვით;
- ნედლეულისა და პროდუქციის შესანახი ავზებისთვის დაღვრის შემაკავებელი ბარიერის/შემოზვინვის მოწყობით;
- შესაძლო დაღვრილი ნარჩენი ზეთის ან/და აღდგენილი ზეთის დროული ლოკალიზებით დაღვრის ადგილზე და შემდგომი გადამუშავების მიზნით საპროექტო ტექნოლოგიურ ხაზზე-რეაქტორზე მიწოდებით;
- გრუნტზე ნედლეულის ან/და პროდუქტის დაღვრის შემთხვევაში, დაბინძურებული გრუნტის დორული მოხსნითა და აღნიშნული სახიფათო ნარჩენის მართაზე სათანადო ნებართვის მქონე კომპანიისთვის (შპს „სანიტარი“) გადაცემით;
- ტერიტორიაზე სანიაღვრე დაბინძურებული წყლების ორგანიზებული შეკრებითა და ნავთობსეპარატორზე მიწოდებით.

ვინაიდან ტერიტორიაზე შეკრებილი შესაძლო დაბინძურებული სანიაღვრე წყლები ნავთობდამჭერის გავლით მიეწოდება სეპტიკურ ავზს, სადაც ბუნებრივად მოხდება გაწმენდილი წყლის შეწოვა გრუნტში - მნიშვნელოვანია ნავთობსეპარატორის გამართულობის მუდმივი კონტროლი, რათა არ მოხდეს დაბინძურებული წყლების სეპტიკში მოხვედრა და

შესაბამისად გრუნტში შეწოვა. შპს „სტანდარტი“ უზრუნველყოფს ნავთობსეპარატორის გამართულად ოპერირების მუდმივ კონტროლს, ხოლო ნებისმიერი დაზიანება, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს გარემოს დაბინძურებასთან დაუყოვნებლივ აღმოიფხვრება. ამასთან, უზრუნველყოფილი იქნება ნავთობდამჭერი-სეპარატორის პერმანენტული/დროული გაწმენდა. ზემოაღნიშნული ქმედებები მიმართულია ასევე გრუნტის ღრმა ფენებში დაბუძურებული წყლების შეწოვით მიწისქვეშა/გრუნტის წყლების შესაძლო დაბინძურების პრევენციისკენ.

ზემოაღნიშნული გარემოებების/განმარტებების გათვალისწინებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობა დაკავშირებული არ იქნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე შესაძლო მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. აღნიშნული კუთხით დამატებითი კვლევების ჩატარების ან/და შემაბრილებელი ღონისძიებების დასახვა-განხორციელების საჭიროება არ დგას.

## 6.5. ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგი:

დაგეგმილი საქმიანობა ითვალისწინებს სახიფათო ნარჩენის - ნარჩენი ზეთების გადამუშავებას/აღდგენას, რაც ერთმნიშვნელოვნად გარმოსდაცვით ხასიათს ატერებს და მიმართულია აღნიშნული ტიპის ნარჩენების მართვაზე ქვეანაში არსებული გამოწვევების ხელშეწყობისკენ. აღნიშნული ტიპის ობიექტების არსებობა მნიშვნელოვან ამომავალ წერტილს წარმოადგენს ნარჩენი ზეთების სწორი მართვისა და ნარჩენების სეპარირებულად შეგროვების პოლიტიკის წახალისებისთვის.

დაგეგმილი საქმიანობის სამშენებლო ეტაპი დაკავშირებული არ იქნება ნარჩენების წარმოქმნა გავრცელებით გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. განსახილველი ობიექტის მოწყობის ეტაპი არ გულისხმობს ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და ითვალისწინებს მხოლოდ საპროექტო ინფრასტრუქტურული ერთეულების სამონტაჟო სამუშაოების განხორციელებას, რა დროსაც მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. სამშენებლო ეტაპზე შესაძლო წარმოქმნილი ნარჩენების მართვა განხორციელდება ნარჩენის სახიფათოობის ან/და არასახიფათოობის მახასიათებლებიდან გამომდინარე. კერძოდ გათვალისწინებული იქნება, როგორც სახიფათო ისე არა სახიფათო ნარჩენების სეპარირებულად შეგროვება და შესაბამისი მართვის უფლების მქონე ორგანიზაციისთვის/კომპანიისთვის გადაცემა.

განსახილველი ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მუნიციპალური/არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა, რომელთა მართვა განხორციელდება ქვეანაში მოქმედი ნორმების დაცვითა და „ნარჩენების მართვის კოდექსით“ გათვალისწინებული ვალდებულების შესაბამისად.

საყოფაცხოვრებო/არასახიფათო ნარჩენებით გარმოს დაბინძურების პრევენციის მიზნით ტერიტორიაზე გათვალისწინებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენების შესაგროვებელი შესაბამისი კონტეინერ(ებ)ის განთავსება, რომელ(ებ)იც პერიოდულად (დაგროვების

შესაბამისად) განიტვირთება და გატანილი იქნება მუნიციპალურ ნაგავსაყრელზე, ქ. რუსთავის შესაბამის მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულებისამებრ.

ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების მართვის ღონისძიებები გულისხმობს:

---

❖ სახიფათო ნარჩენების სათანადო მართვის მიზნით საპროექტო ტერიტორიაზე (სახიფათო ნარჩენების განთავსების ობიექტზე), ბეტონის საფარზე, განთავსდება 200 ლიტრიანი ლითონის დახურული კასრები/კონტეინერები, რომლებშიც დროებით იქნება განთავსებული ობიექტზე წარმოქმნილი, როგორც მყარი, ისე თხევადი სახის სახიფათო ნარჩენები, ცალ-ცალკე ნარჩენების ფიზიკური და ქიმიური თვისებების შესაბამისად. სახიფათო ნარჩენები დაგროვების შესაბამისად შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა აღნიშნული ნარჩენების მართვაზე სათანადო ნებართვის მქონე კომპანიას.

---

❖ ტექნოლოგიურ პროცესების - მორადი ზეთის გადამუშავების შედეგად მიღებული ნარჩენი - ნავთობპროდუქტით დაბინძურებული ბენტოლიტის თიხა, რომელიც რჩება პერსფილტრში (მისადაგებული კოდით - 19 11 01\*) შეგროვდება შესაბამის კონტეინერში და დაგროვების შესაბამისად შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შპს „სანიტარს“, რომელსაც გააჩნია სათანადო ნებართვა სახიფათო ნარჩენების დამუშავებაზე/მართვაზე.

---

❖ პერსფილტრის ნაჭრის ფილტრები, რომლებიც გარკვეული პერიდის მერე დაექვემდებარება შეცვალს ასევე წარმოადგენს სახიფათო ნარჩენს (მისადაგებული კოდით - 15 02 02\*). დაბინძურებული ნაჭრის ფილტრები შეგროვდება შესაბამის კონტეინერში და დაგროვების შესაბამისად შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შპს „სანიტარს“.

---

❖ მყარი ნარჩენები/ნალექები ნავთობსეპარატორიდან (მისადაგებული კოდით - 13 05 03\*) დაგროვების შესაბამისად განთავსდება შესაბამის კასრში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შპს „სანიტარს“.

---

❖ გრუნტზე ნედლეულის ან/და პროდუქტის დაღვრის შემთხვევაში, დაბინძურებული გრუნტი (მისადაგებული კოდით - 17 05 05\*) დორულად მოიხსნება, განთავსდება შესაბამის კონტეინერში და შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა სახიფათო ნარჩენის მართვაზე სათანადო ნებართვის მქონე კომპანიას (შპს „სანიტარი“);

---

❖ ნავთობსეპარატორში დაგროვილი ზეთიანი წყალი (მისადაგებული კოდით - 13 05 07\*), ასევე შესაძლო დაღვრილი გადასამუშავებელი ნარჩენი ზეთები და მიღებული პროდუქტი, რომელიც თხევადი სახით იქნება შეგროვილი დაბრუნებული იქნება ნარჩენების აღდგენის ტექნოლოგიურ ციკლში, შემდგომი აღდგენის პროცედურისათვის.

---

❖ ტექნოლოგიური ციკლში დაგროვილი კონდენსირებული სითხე (თხელი ფრაქცია), რომელიც წარმოადგენს ნარჩენი ზეთით დაბინძურებულ სახიფათო ნარჩენს (მისადაგებული კოდით - 19 01 17\*) გადაეცემა სახიფათო ნარჩენების მართვაზე შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას (შპს „სანიტარი“) ან დაბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლში შემდგომი აღდგენის ოპერაციებისთვის.

---



კომპანია სახიფათო ნარჩენების მართვას, მათ შორის სახიფათო ნარჩენების დროებითი განთავსების ობიექტის ოპერირებას უზრუნველყოფს „სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის” მოთხოვნათა შესაბამისად (იხ. სკრინინგის ანგარიშის მე-3 თავი).

საერთო ჯამში შესაძლებელია დავასკვნათ რომ - საპროექტო საქმიანობის მასშტაბისა და ნარჩენების მართვის კუთხით დაგეგმილი ღონისძიებების გათვალისწინებით, საქმიანობის ფარგლებში ნარჩენების წარმოქმნა-გავრცელების თვალსაზრისით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღნიშნული მიმართულებით დამატებითი კვლევების განხორციელების ან/და შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვის საჭიროება არ დგას.

## 7. საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი:

პროექტის მასშტაბისა და სხვადასხვა საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებით საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები მოსალოდნელი არ არის. ძირითადი ავარიული რისკები, რომლებიც შესაძლებელია წარმოიშვას საწარმოო ობიექტზე და ზემოქმედებას მოახდინენ გარემო პირობებზე დაკავშირებული იქნება:

- ტექნოლოგიური ხაზის დაზიანებასთან;
- ნედლეულის ან/და წარმოებული პროდუქციის ავარიულ დაღვრასთან;
- ნავთობდამჭერის გაუმართაობასთან და არასათანადო ოპერირებასთან;
- ხანძარის გავრცელებასთან;
- ბუნებრივი ხასიათის ავარიული სიტუაციებთან

ზემოთ ჩამოთვლილი ავარიული სიტუაციები შესაძლოა თანმდევი პროცესი იყოს და ერთი სახის ავარიული სიტუაციის განვითარებამ გამოიწვიოს სხვა სახის ავარიის ინიცირება - ამიტომ მნიშვნელოვანია შესაძლო ავარიული რისკების კონტროლი და უსაფრთხოების ნორმების მკაცრი დაცვა ყველა მიმართულებით.

საწარმოო ობიექტზე შესაძლო ავარიული სიტუაციების გამორიცხვის მიზნით შპს „სტანდარტის” ადმინისტრაციის მიერ გათვალისწინებული/გატარებული იქნება შესაბამისი ღონისძიებების, მათ შორის:

✓ შესაძლო ავარიული სიტუაციების გამორიცხვის მიზნით გათვალისწინებული იქნება ობიექტზე არსებული ტექნოლოგიური მოწყობილობების გამართულობის მუდმივი კონტროლი - ნებისმიერი დაზიანება, რომელიც შესაძლოა დაკავშირებული იყოს ავარიის რისკებთან დაუყონებლის აღმოფხვრება. მათ შორის - ტექნოლოგიური რეჟიმიდან უმნიშვნელო გადახრის ან ავარიული სიტუაციის შემთხვევაში დანადგარი ავტომატურად წყვეტს მუშაობას. შესანახი ავზეები აღჭურვილი იქნება გადავსების საწინააღმდეგო და გამართული განგაშის სისტემით.
✓ პერსონალის ტრავმატიზმის/დაზიანების პრევენციის მიზნით უზრუნველყოფილი იქნება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების

დაცვა და პროექტის მუშახელის ინსტრუქტაჟი/მომზადება, ასევე სპეციალური დამცავი საშუალებებით აღჭურვა; ამასთან, მნიშვნელოვან ღონისძიებებს წარმოადგენს ასევე: პერსონალის პერიოდული სწავლება და ტესტირება შრომის უსაფრთხოების საკითხებზე; სახიფათო ზონებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა; შენობებში და დახურულ სივრცეებში შესაბამისი საევაკუაციო პლაკატების განთავსება კედლებზე; სპეციალური კადრების მომზადება, რომლებიც გააკონტროლებს სამუშაო უბნებზე უსაფრთხოების ნორმების შესრულების დონეს და დააფიქსირებს უსაფრთხოების ნორმების დარღვევის ფაქტებს.

✓ შესაძლო ხანძრის გაჩენის პრევენციის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი უზრუნველყოფს საპროექტო ობიექტის სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით აღჭურვას, მათ შორის ობიექტი აღჭურვილი იქნება ცეცხლმაქრებით; მოეწყობა სახანძრო დაფა, სადაც განთავსებული იქნება ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი და საინფორმაციო ბანერი სახანძრო უსაფრთხოების წესების-პირობების შესახებ.

✓ ვინაიდან ცეცხლმოკიდებული ზეთის ჩაქრობა წყლით შეუძლებელია საწარმოო ობიექტზე იარსებებს სპეციალური B კლასის - ქაფის ცეცხლმაქრები, რომელიც შედგენილობიდან გამომდინარე განკუთვნილია სპეციალურად ცეცხლმოკიდებული ზეთის კერების ჩასაქრობად.



✓ ხანძრების გაჩენის პრევენციის მიზნით ასევე მნიშვნელოვანია: პერსონალის პერიოდული და სამუშაოზე აყვანისას სწავლება და ტესტირება ხანძრის პრევენციის საკითხებზე; სამუშაო უბანზე სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გამოყოფა და მისთვის სათანადო ტრენინგის ჩატარება; ადვილად აალებადი და ფეთქებადსაშიში ნივთიერებების დასაწყობება უსაფრთხო ადგილებში და მათი განთავსების ადგილებში შესაბამისი გამაფრთხილებელი ნიშნების მოწყობა; ელექტროუსაფრთხოების დაცვა.

✓ სახანძრო უსაფრთხოების გაზრდის მიზნით ნავთობპროდუქტის საცავის ადგილის მომიჯნავედ ხანძარსაწინააღმდეგო მიზნებისთვის წყლის ავზის განთავსება. ტერიტორიაზე მუდმივად უნდა იარსებოს ხანძარსაწინააღმდეგო წყლის მარაგმა.

✓ ტერიტორიაზე, სადაც განთავსდება ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის საცავები მოეწყობა შემოზინვა - ავარიული დაღვრის შემაკავებელი ბარიერი. ავარიული დაღვრის ეფექტური შეკავებისთვის შემოზინვის შიდა მოცულობა მეტი იქნება არსებული რეზერვუარ(ებ)ის მოცულობაზე (რეზერვუარის ტევადობის 110%); მნიშვნელოვან ღონისძიებებს წარმოადგენს ასევე: დამაბინძურებელი ნივთიერებების შენახვის და გამოყენების წესების დაცვა; წარმოებული პროდუქციის ანა/და სხვა დამაბინძურებელი ნივთიერებების სათავსის პერიმეტრზე შესაბამისი გამაფრთხილებელი და ამკრძალავი ნიშნების განთავსება; შესაძლო დაღვრილი დამაბინძურებელი ნივთიერებების დროული ლოკალიზება და შესაბამისი მასალის გამოყენება რომელსაც მარტივად შეუძლია დამაბინძურებელი ნივთიერების შეწოვა, მისი ფიზიკური თუ ქიმიური თვისებების მიუხედავად.

✓ ნავთობსეპარატორის გამართულად ფუნქციონირების მუდმივი კონტროლი და დროული გაწმენდა; სანიაღვრე სისტემის ეფექტურად ფუნქციონირების მუდმივი კონტროლი და საჭიროებისამებრ დროული გაწმენდა; ავარიული დაღვრის შემაკავებელი ბარიერის/შემოზვინვის ტექნიკური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი და საჭიროებისამებრ დროული შეკეთება; შესაძლო დაღვრილი ნედლეულის ან/და პროდუქციის დროული ლოკალიზაცია და შემდგომი მართვის ღონისძიებების განხორციელება; შესაძლო დამაბინძურებელი უბნების სითხეგაუმტარი ბეტონის ფენის ტექნიკური მდგომარეობის მუდმივი კონტროლი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის საკვლევი ობიექტის საქმიანობის მასშტაბისა და განსაზღვრული ღონისძიებების გათვალისწინებით დგინდება, რომ საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის წარმოშობის წყაროები განახილველ ობიექტზე არ იარსებებს. ობიექტზე სათანადო ნორმებისა და წესების, ამასთან ზემოთ აწერილი ღონისძიებების დაცვის პირობებში შესაძლებელი საწარმოს უსაფრთხო ოპერირება/ექსპლუატაცია. აღნიშნული მიმართულების დამატებითი კვლევების განხორციელების, შემარბილებელი ღონისძიებების დასხვის ან/და მონიტორინგის საკითხების განსაზღვრის საჭიროება არ დგას.

## **8. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედების სკრინინგი:**

კუმულაციური ზემოქმედების შეფასების მთავარი მიზანია პროექტის განხორციელებით მოსალოდნელი ზემოქმედების ისეთი სახეების იდენტიფიცირება, რომლებიც როგორც ცალკე აღებული არ იქნება მასშტაბური ხასიათის, მაგრამ სხვა - არსებულ, მიმდინარე თუ დაგეგმილ ანალოგიურ პროექტებთან ერთად (ზემოქმედების თვალსაზრისით) შექმნის მნიშვნელოვან კუმულაციურ ეფექტს. განსახილველი ობიექტის საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით კუმულაციური ზემოქმედება შესაძლებელია განხილული იქნეს ძირითადად ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ან/და ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების ჭრილში.

აღსანიშნავია, რომ საკვლევი ობიექტის უშუალო სიახლოვეს, არ ყოფილა იდენტიფიცირებული ისეთი სახის ობიექტ(ებ)ი, რომელიც განსახილველ საქმიანობასთან ერთად კუმულაციურ ეფექტს შექმნიდა. ამასთან, საჯარო მონაცემების გადამოწმებით ([mepa.gov.ge](http://mepa.gov.ge); [nea.gov.ge](http://nea.gov.ge)) დგინდება, რომ საპროექტო ობიექტის უშუალო სიახლოვეს არ არის დაგეგმილი ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია. სამრეწველო ობიექტებიდან საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეს, დაახლოებით 650 მეტრში ფიქსირდება მხოლოდ შპს „დიდოსტატის“ გაჯის საწარმო, რომელისაც არ ექნება კუმულაციური ეფექტი დაგეგმილ საქმიანობასთან მიმართებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება დაკავშირებული არ იქნება არსებულ ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციურ ზემოქმედებასთან. აღნიშნული მიმართულების დამატებითი კვლევების განხორციელების, შემარბილებელი ღონისძიებების დასხვის ან/და მონიტორინგის საკითხების განსაზღვრის საჭიროება არ დგას.

## 9. ზემოქმედების შესაძლო ხარისხი, კომპლექსურობა და გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების (გზშ-ის) პროცედურის ჩატარების მნიშვნელობის განსაზღვრა:

გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგით დგინდება, რომ საქმიანობის განხორციელება, პროექტის სხვადასხვა მახასიათებლებიდან, მათ შორის მასშაბებიდან გამომდინარე არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მოსალოდნელ მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. შესაძლო ზემოქმედების ხარისხი და კომპლექსურობა არ შეიძლება ჩაითვალოს „მასშტაბურად“. სკრინინგის ანგარიშში მოცემული ღონისძიებების განხორციელებით საქმიანობა გარემოზე მაღალ, შეუქცევად ზემოქმედებას პრაქტიკულად ვერ გამოიწვევს.

საქმიანობის სკრინინგის პროცედურის ფარგლებში არ გამოვლენილა ისეთი ზემოქმედების სახეები/წყაროები, რომელ(ებ)იც ზემოქმედების მაღალი მნიშვნელობით ხასიათდება და დეტალურ შეფასებას ან/და დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დასხვა-განხორციელებას საჭიროებს.

ყოველივე ზემოაღნიშნულის, მათ შორის დაგეგმილი საქმიანობის საპროექტო მახასიათებლების სპეციფიკისა და სკრინინგის ანგარიშის მე-6, მე-7 და მე-8 თავებში წარმოდგენილი განმარტებების საფუძველზე შესაძლებელია დავასკვნათ, რომ პროექტთან დაკავშირებით გარემოზე ზემოქმედების შეფასების ჩატარება (რომელიც საქმიანობით მოსალოდნელი ზემოქმედების დეტალურ შეფასებას, გონივრული შემარბილებელი ღონისძიებებისა და მონიტორინგის საკითხების დანერგვას გულისხმობს) ფაქტობრივ საჭიროებას მოკლებულია / გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შეფასების (გზშ-ის) პროცედურის ჩატარების საფუძველი არ არსებობს.

დაგეგმილი საქმიანობის განმახორციელებელი უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვას.

### 9.1. შესაძლო ზემოქმედების შემაჯამებელი ცხრილი:

ზემოქმედების სახე	მოსალოდნელია ზემოქმედების მნიშვნელობა (დაბალი, საშუალო, მაღალი)	განმარტება
<p>ატმოსფერული დაბინძურება და მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე</p>	<p><b>დაბალი მნიშვნელობის</b></p>	<p>ემისიების წარმოქმნას და მათ შემდგომ გაფრქვევას ატმოსფერულ ჰაერში ძირითადად ადგილი ენება ნარჩენი ზეთების აღდგენის ტექნოლოგიური პროცესის დროს. ემისიები გაიფქვევა 18 მ სიმაღლის მილიდან, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს ატმოსფერული ჰაერის შესაძლო დამაბინძურებელი ნივთიერებების გავრცელების მიწისპირა კონცენტრაციების მნიშვნელობებს და შესაძლო ზემოქმედების რიკებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ტექნოლოგიური ციკლის დროს წარმოქმნილი წვადი აირები ბრუნდება რეაქტორის სანათურებში („ფარსუნკებში“), რომელიც გამოყენებული იქნება, როგორც საწვავი ბუნებრივი გაზის ნაცვლად - რაც ერთმნიშვნელოვნად შეამცირებს მოსალოდნელი ემისიის რაოდენობას და შესაძლო ზემოქმედებას ატმოსფერულ ჰაერზე. გაანგარიშებიდან დგინდება დგინდება, რომ საპროექტო საქმიანობის ექსპლუატაცია არ შეიძლება ჩაითვალოს ატმოსფერული ჰაერის ფონური მდგომარეობის ცვლილებისა და შესაძლო ზემოქმედების მნიშვნელოვან წყაროდ.</p>
<p>ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე</p>	<p><b>დაბალი მნიშვნელობის</b></p>	<p>ვინაიდან პროექტის განხორციელება არ გულისხმობს მასშტაბური სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და შემოიფარგლება მხოლოდ საპროექტო ინფრასტრუქტურული ერთეულების სამონტაჟო სამუშაოებით, რომელიც იწარმოებს მხოლოდ დღის განმავლობაში და</p>

		<p>დასრულებულია მაქსიმუმ 2 თვეში, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საწარმოს მოწყობის ეტაპზე ხმაურის გავრცელებით გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.</p> <p>ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება გარემოზე შესაძლოა დაკავშირებული იყოს ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპთან, თუმცა - როგორც ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედების სკრინინგით დგინდება, ექსპლუატაციის ეტაპზე საწარმოდან უახლოეს დასახლებამდე გავრცელებული ხმაურის მაქსიმალური დონე 9.1 დბ-ს იქნება, რაც თავსებადია მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან, კერძოდ - არ გადააჭარბებს 2017 წლის 15 აგვისტოს №398 დადგენილებით განსაზღვრულ ხმაურის დასაშვებ ნორმებს.</p>
<p>წყლის გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება</p>	<p><b>დაბალი მნიშვნელობის</b></p>	<p>საკვლევი ობიექტის სამშენებლო ეტაპი არ გულისმობს ფართომასშტაბიან სამშენებლო ან/და მიწის საექსკავაციო სამუშაოების წარმოებას, რაც შესაძლოა დაკავშირებული ყოფილიყო მიწისქვეშა/გრუნტის წყლებზე ზემოქმედებასთან. ამასთან, განსახილველი ტერიტორიიდან უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი (მდ. მტკვარი) დამორებულია დაახლოებით 2 კილომეტრით, რაც ფაქტობრივად გამორიცხავს საწარმო ობიექტის სამშენებლო სამუშაოების წარმოებით ზედაპირული წყლის ობიექტზე შესაძლო ზემოქმედების რისკებს.</p> <p>საწარმოში ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება სამეურნეო-ფეკალური, საწარმოო და სანიაღვრე-წყლის წყლების წარმოქმნას.</p>

		<p>სკრინინგის ანგარიშის 6.3 ქვეთავში განმარტებულია საწარმოო ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი წყლების მართვის საკითხები, ხოლო ქვეთავში მითითებული ღონისძიებების გათვალისწინებით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის განხორციელება არ იქნება დაკავშირებული წყლის (ზედაპირული ან/და მიწისქვეშა) გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან და აღნიშნული კუთხით დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების საჭიროება არ დგას.</p>
<p>ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედება</p>	<p><b>დაბალი მნიშვნელობის</b></p>	<p>საპროექტო არეალის ფუნქციური ზონის და ტერიტორიზე დამდგარი ანთროპოგენური ზემოქმედების გათვალისწინებით ობიექტის მოწყობა დაკავშირებული არ იქნება ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე ან/და გრუნტის ხარისხზე შესაძლო ზემოქმედებასთან. გრუნტის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედება შესაძლოა უკავშირდებოდეს განსახილველი ობიექტის ექსპლუატაციის ეტაპს, თუმცა - პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების (იხ. ქვეთავი 6.3 და 6.4) გათვალისწინებით დამაბინძურებელი ნივთიერებების დაღვრისა და გრუნტის ღრმა ფენებში გაჟონვის რისკები ნულამდე იქნება დაყვანილი. <u>მათ შორის:</u> გრუნტზე ნედლეულის ან/და პროდუქტის დაღვრის შემთხვევაში, დაბინძურებული გრუნტი დორულად მოხსნითა და გადაეცემა აღნიშნული სახიფათო ნარჩენის მართაზე სათანადო ნებართვის მქონე კომპანიას; შესაძლო დამაბინძურებელი უბნები სითხეგაუმტარი ბეტონის ფენით დაიფარება; ნედლეულისა და</p>

		<p>პროდუქციის შესანახი ავზებისთვის დაღვრის შემაკავებელი ბარიერი/შემოზვინვა მოწყობა.</p>
<p>ნარჩენების წარმოქმნითა და გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება</p>	<p><b>დაბალი მნიშვნელობის</b></p>	<p>განსახილველი ობიექტის მოწყობის ეტაპი არ გულისხმობს ფართომასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოების წარმოებას და ითვალისწინებს მხოლოდ საპროექტო ინფრასტრუქტურული ერთეულების სამონტაჟო სამუშაოების განხორციელებას, რა დროსაც მნიშვნელოვანი რაოდენობის ნარჩენების წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია მუნიციპალური/არასახიფათო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. როგორც მშენებლობის ისე ექსპლუატაციის ეტაპზე გათვალისწინებული იქნება, როგორც სახიფათო ისე არა სახიფათო ნარჩენების სეპერირებულად შეგროვება და შესაბამისი მართვის უფლების მქონე ორგანიზაციისთვის/კომპანიისთვის გადაცემა (იხ. ქვეთავი 6.5).</p>
<p>საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკი</p>	<p><b>დაბალი მნიშვნელობის</b></p>	<p>პროექტის მასშტაბისა და სხვადასხვა საპროექტო მახასიათებლების გათვალისწინებით საქმიანობასთან დაკავშირებული მასშტაბური ავარიის ან/და კატასტროფის რისკები მოსალოდნელი არ არის. საწარმოო ობიექტზე შესაძლო ავარიული სიტუაციების გამორიცხვის მიზნით შპს „სტანდარტის“ ადმინისტრაციის მიერ გათვალისწინებული/გატარებული იქნება სკრინინგის ანგარიშის მე-7 თავში მითითებული შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის - შესაძლო ავარიული სიტუაციების გამორიცხვის მიზნით გათვალისწინებული იქნება ობიექტზე არსებული ტექნოლოგიური მოწყობილობების</p>



		<p>გამართულობის მუდმივი კონტროლი; პერსონალის ტრავმატიზმის/დაზიანების პრევენციის მიზნით უზრუნველყოფილი იქნება მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვა; შესაძლო ხანძრის გაჩენის პრევენციის მიზნით საქმიანობის განმახორციელებელი უზრუნველყოფს საპროექტო ობიექტის სხვადასხვა სახის ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებებით აღჭურვას, მათ შორის ობიექტი აღჭურვილი იქნება ცეცხლმაქრებით; ტერიტორიაზე, სადაც განთავსდება ნედლეულისა და წარმოებული პროდუქციის საცავები მოეწყობა შემოზვინვა - ავარიული დაღვრის შემაკავებელი ბარიერი.</p>
კუმულაციური ზემოქმედება	-	<p>კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. საკვლევი ობიექტის უშუალო სიახლოვეს, არ ყოფილა იდენტიფიცირებული ისეთი სახის ობიექტ(ებ)ი, რომელიც განსახილველ საქმიანობასთან ერთად კუმულაციურ ეფექტს შექმნიდა. საჯარო მონაცემების გადამოწმებით (mepa.gov.ge; nea.gov.ge) დგინდება, რომ საპროექტო ობიექტის უშუალო სიახლოვეს არ არის დაგეგმილი ანალოგიური ფუნქციური დატვირთვის ობიექტის მოწყობა-ექსპლუატაცია.</p>

## 10. დანართები:

✚ დანართი N1 - ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის წერილი

✚ დანართი N2 - იჯარის ხელშეკრულება

✚ დანართი N3 - საკადასტრო გეგმა

დანართი N1



**ს ა შ ა რ თ ვ ე ლ ო**  
**ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერიის**  
**არქიტექტურის სამსახური**  
**GEORGIA**  
**ARCHITECTURE DEPARTMENT**  
**OF RUSTAVI MUNICIPALITY CITY HALL**



წვილის სიმფონი 05-3823130255  
 თარიღი 10/05/2023

ადრესატი: შპს სანარმო  
 416250298  
 საინჟინერო-კონსტრუქციული კომპანია  
 მისამართი: რაიონი ტყაიკანისი, II შესახვევი, N 15  
 კორპუსი N3, ბინა N506

თქვენი N10/3823128188-38 08.05.25023წ. მომართვის პასუხად ვაგებობთ, რომ მიწის ნაკვეთი ს.კ.02.05.03.698 ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის-უენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 29 ნოემბრის N154 დადგენილების შესაბამისად შეგებარებს სანარმო ზონაში (იზ 1).

სანარმო ზონა (იზ-1) – სამენარმო ზონა არის ინდუსტრიული ზონის ქვეზონა, სადაც დომინირებს სანარმო ობიექტები, რომლებშიც არ მიმდინარეობს გარემოსა და ადამიანის ჯანმრთელობისათვის საშიშროებასთან დაკავშირებული პროცესები.

**ნებადართული სახეობებია:**

- სანარმო ობიექტი;
- ღია და დახურული საწყობი;
- ავტოსატრანსპორტო საშუალების მომსახურების ობიექტი.

**საგამონაცლისო წესით** შეიძლება ასევე დასაშვებ იყოს სხვა არამაგნე მრეწველობის ობიექტები.

კობა ბლივინიძე

არქიტექტურის სამსახური პირველი სტრუქტურული  
 პროექტის ხელმძღვანელი

გამოცემულია ელექტრონული  
 ვალდებულება შედგენისა/  
 ვალდებულება შედგენის



უძრავი ქონების იჯარის ხელშეკრულება

ქრუსთავი

სექტემბერი, 2022 წელი

საქციო საზოგადოება „პარიზი“ (ს/კ 216288906, შემდგომში ამ ხელშეკრულებაში მოხსენიებული ყველგან, როგორც „მოიჯარე“, წარმოდგენილი დირექტორ იუნა ჩუბინიძის სახით და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „სტანდარტი“ (ს/კ 416358266), წარმოდგენილი დირექტორ ჯაბუკი ნოზაძის სახით, შემდგომში ყველგან მოხსენიებული, როგორც „მოიჯარე“ – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ედებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი და მოქმედების ვადა

1.1. „მოიჯარე“ გადასცემს, ხოლო „მოიჯარე“ ვადიან და სასაიდლოდ სარგებლობაში იჯარით იღებს საჯარო რეესტრში „მოიჯარის“ საკუთრებად რიცხული არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნაწილს, ფართობით 1000 (ათასი) კვ. მ., რომელზედაც განლაგებულია „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარი“ (შემდგომ ორივე ერთობლივად „იჯარის ობიექტი“) მეთრადი საბინო ზეთის გამფილტრავი დანადგარის ფუნქციონირებისათვის, საქარბოი დანიშნულებით.

1.2. „იჯარის ობიექტის“ მახასიათებლებია:

1.1. მიწის ნაკვეთი: სარეგისტრაციო ზონა ქრუსთავი, სექტორი მარცხენა სანაპირო, დაზუსტებული ფართობი 23,400 კვ.მ., მდებარე მისამართზე: ქალაქი რუსთავი, ჯავახიშვილის ქუჩა N9, ს/კ 02.05.03.698, უფლების რეგისტრაციის თარიღი 06.11.2018 წელი;

1.2.2. „ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შემცველი ნარჩენების წვით გაუვნებელყოფის დანადგარი“ : მარკა 3.15895920.001.2001, რომლის კომპლექტაციაში შედის ა). ნარჩენების დასაწვავი დანადგარი 1 ცალი; ბ). თხევადი სუფივის საწითურა 2 ცალი; გ). პირველადი ჰაერის მოწოდებელი ვენტოლატორი 1 ცალი; დ). ელექტორებში ცივი ჰაერის მოწოდებელი ვენტოლატორი 1 ცალი; ე). ჩასატვირთი ხელკეტი 2 ცალი; ვ). დანადგარის ტექნიკური პასპორტი 1 ცალი;

1.3. იჯარის ობიექტი მოიჯარეს გადაეცემა 3 (სამი) წლის ვადით \_\_ .09.22-დან \_\_.09.25-მდე (რთულით).

2. იჯარის ქირა და ანგარიშსწორების წესი

2.1 იჯარის ქირა შეადგენს 1 (ერთი) აშშ დოლარის ექვივალენტ ლარს 1 (ერთი) კვ. მ.-ზე, ხოლო ჯამურად [redacted] თვეში, გადახდა წარმოებს უნაღდო ანგარიშსწორების წესით, გადახდის დღეს არსებული კრონული ვალუტის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.2 „მოიჯარე“ „მოიჯარეს“ ქირა უნდა გადაუხადოს ყოველი საანგარიშსწორებო თვის მომდევნო თვის 10 (ათი) რიცხვისა.

2.3. საიჯარო ქირის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში „მოიჯარეს“ დაეკისრება პირგასამტეხლო გადაუხდელი თანხის 0,01%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, წინასწარ გაფიქსირების გარეშე;

2.4. საიჯარო ქირის გადახდა იწყება წარმოების გაშვების (ფუნქციონირების) დაწყებისთანავე.

2.5. „მოიჯარე“ ასევე ვალდებულია გადაიხადოს „იჯარის ობიექტის“ შენახვისა და მოვლა-პატრონობის ხარჯები, რისთვისაც იჯარის მოქმედების მთელ პერიოდზე აბონენტად დარეგისტრირდება შესაბამისი კომუნალური მომსახურების გამწვევ ორგანიზაციებში (ელ. ენერჯია, ბუნებრივი აირი, წყალმომარაგება, დასუფთავება), ხოლო ტექნიკური შესაძლებლობის არსებობისას უზრუნველყოფს საკუთარი მრიცხველების გამოლოცვას მოიჯარესთან შეთანხმებით.

2.6 „მოიჯარე“ ვალდებულია უზრუნველყოს იჯარით აღებული ქონების ექსპლუატაციისათვის საჭირო გარემოს დაეცით ზემოქმედების წებართვების და ასევე საჭიროებისამებრ სხვა სახელმწიფო მაკონტროლებელი ორგანიზაციიდან წებართვების აღება. „მოიჯარე“ ვალდებულია სისტემატიურად განახორციელოს კონტროლი, რათა საშუალები განხორციელდეს გარემოსდაცვითი და სხვა წებართვების მოთხოვნათა სრული დაგვიით.

2.7 „მოიჯარის“ მხრიდან 2.6 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში პასუხისმგებლობა ეკისრება „მოიჯარეს“

3.1. „მოიჯარეს“ უფლება აქვს



3.1.1 წინასწარი გაფრთხილების გარეშე, წებისმიერ დროს შეუფერხებლად დაათვალიეროს ოჯარით გაცემული ქონება, მათ შორის შეამოწმოს "მოიჯარის" მიერ ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების დაცვის მდგომარეობა.

3.1.2. მოითხოვოს "მოიჯარის" მიერ ქონების გაუფრთხილებლობის, ქონების ღირებულების შემცირების, დაზიანების ან/და გაუარესების შედეგად გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, რაც დადასტურებული იქნება "მოიჯარის" მიერ შეტანილი დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ.

3.1.3 გაასხვისოს ოჯარით გადაცემული ქონება "მოიჯარის" თანხმობის გარეშე, იმ პირობით, რომ ახალი მესაკუთრის ხელში ოჯარის ხელშეკრულება გაგრძელდება სრული ვადის დასრულებამდე და ოჯარის პირობები იგივე დარჩება.

#### 4. მხარეთა ვალდებულებები

##### 4.1. "მოიჯარე" ვალდებულია:

4.1.1. გამოიყენოს ოჯარის ობიექტი მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად და არ დაუშვას ოჯარის ობიექტის ფუნქციის შეცვლა მოიჯარესთან შეთანხმების გარეშე;

4.1.2. გადაიხადოს საოჯარო ქირა ამ ხელშეკრულებით დადგენილი წესითა და ოდენობით;

4.1.3. მოიჯარის ოჯარის ობიექტს გულმოდგინებით, ზუსტად დაიცვას ხანმარსაწინააღმდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების წესები და სანიტარული მოთხოვნები.

4.1.4. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ოჯარის ობიექტის დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მისი ზრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ "მოიჯარეს" და მისი თითების შესაბამისად აღმოფხვრას დაზიანება თავისი ხარჯებით;

4.1.5. აუნაზღაუროს "მოიჯარეს" ყოველგვარი ზიანი, რომელიც მოადგება საოჯარო ქონებას მისი არამართლზომიერი ქმედების შედეგად.

4.1.6. ხელშეკრულების მოშლის ან შეწყვეტისას უნა დააბრუნოს ოჯარის ობიექტი იმ მდგომარეობაში, რაც მას გადაცემის მომენტში ჰქონდა, ზუნებრივი და ტექნიკური ცვლილების გათვალისწინებით.

4.1.7. "მოიჯარის" თანხმობის გარეშე არ გადასცეს ოჯარის ობიექტი მესამე პირებს ქვეოჯარით ან სარგებლობის სხვა ფორმით.

4.1.8. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

##### 4.2. "მოიჯარე" ვალდებულია:

4.2.1. ხელი შეუწყოს "მოიჯარეს" ყველა საჭირო საბუთის მიღებაში (გნობა, წებართვა და სხვა), რომელიც შეიძლება მოითხოვოს ხელისუფლების, მათ შორის მაკონტროლებელმა ორგანოებმა, ოჯარის საგნით სარგებლობის პროცესში.

4.2.2. უზრუნველყოს "მოიჯარის" მიერ საოჯარო ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში;

4.2.3. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

#### 5. პასუხისმგებლობა

5.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ ამ ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით, ხელშეკრულების პირობების დამრღვემა მხარემ უნდა აუნაზღაუროს მეორე მხარეს დარღვევით მიყენებული ზიანი.

5.2. "მოიჯარე" პასუხს აგებს საოჯარო ქირის ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით გადახდაზე.

5.3. მხარეები ვალდებულია იღებენ დაუყოვნებლივ მანაფიქსირებელი ურთიერთობების ყოველგვარი მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა იქონიოს აღნიშნულ საოჯარო ურთიერთობებზე, კერძოდ აცნობონ ერთმანეთს წებისმიერი უფლებრივი თუ სხვა სახის რისკების შესახებ, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ქონების გაზადგურება, დაზიანება, სანიტარული ან/და სხვა უფლებებით დატვირთვა, გასხვობა ან/და სხვაგვარი შედეგი რაც შეუძლებელს გახდის ან/და გაართულებს ოჯარის ობიექტით სარგებლობას.

5.4. იმ შემთხვევაში, თუ "მოიჯარეს" შეზღუდდება ოჯარის ობიექტით სარგებლობის უფლება "მოიჯარის" ზრალით, მოიჯარე უფლებამოსილია შეზღუდვის მიზეზ პერიოდზე არ გადაიხადოს შესაბამისი პერიოდის საოჯარო ქირა შეზღუდვის ამოწურვამდე.

#### 6. ხელშეკრულების შეწყვეტა



6.1. შეიჯარეს" შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მომალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

6.1.1. თუ "შეიჯარე" არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს საიჯარო ქირის გადახდის ნაწილში, რის შესახებაც იგი ერთხელ უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით;

6.1.2. თუ "შეიჯარე" განზრახ ან დაუდევრობით აუარესებს „იჯარის ობიექტის“ მდგომარეობას, რითაც ზიანი ადგება "შეიჯარეს" და აღნიშნული დასტურდება კომპეტენტური დასკვნით.

6.1.3. ამ მუხლის 6.1.1. და 6.1.2. პუნქტებით გათვალისწინებულისგან განსხვავებული სხვა ნებისმიერი საფუძვლით „შეიჯარის“ მიერ ხელშეკრულების ვალშირივად შეწყვეტის სურვილის შემთხვევაში, იგი ვალდებულია წინასწარ სრულად აღნაზღაუროს „შეიჯარეს“ წარმოების გაშვებამდე გაწეული ყველა ხარჯი შესაბამისი განგარიშების მიხედვით (დანადგარის დემონტაჟის და ხელახალი მონტაჟისთვის გაწეული და გასაწევი ხარჯები, სატრანსპორტო ხარჯები, საწარმოო ტერიტორიის მოწყობაზე და მასთან დაკავშირებულ სხვა სამუშაოებზე გაწეული ყველა დანახარჯი).

6.2.1. "შეიჯარეს" შეუძლია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ვადამდე მომალოს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

6.2.2. თუ "შეიჯარე" უზენადად არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;

6.2.3. თუ "შეიჯარის" ბრალეული ქმედებით უზღუდება „შეიჯარეს“ „იჯარის ობიექტით“ სარგებლობის უფლება.

6.2.4. შეატყობინებს რა ხელშეკრულების მოშლის შესახებ „შეიჯარეს“ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე.

ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე მხარეთა შეთანხმების შედეგად.

6.3.1. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, "შეიჯარე" ვალდებულია გადაიხადოს ამ დღისთვის არსებული ყველა გადასახადი და საიჯარო ქირა, ასევე ვალდებულია გაათავისუფლოს საიჯარო ობიექტი", რის შემდეგაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს „იჯარის ობიექტის“ მიღება-ჩაბარების აქტი.

6.3.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ „შეიჯარის“ მიერ იჯარის ობიექტით სარგებლობა ფაქტობრივად გაგრძელდა, რისი წინააღმდეგაც არ არის „შეიჯარე“, ხელშეკრულება გაგრძელდება მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ისევე პირობებით.

## 7. ფორს მაჟორი.

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ნატურული უბედურება, ეპიდემია, ომი და სხვა) ზეგავლენით, რომელთა წინასწარ განაზღვრა ან თავიდან აცილება აღუმატება მხარეთა გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს. დაუძლეველ ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება ისეთ მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა (ფორს-მაჟორი)

7.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ის საყოველთაოდ აღიარებული არ არის, თუ ასეთი მოვლენები გაგრძელდა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით. მხარეები უფლებამოსილნი არიან მომალონ ხელშეკრულება.

## 8. ხელშეკრულების სხვა პირობები

8.1. მხარის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ ნიშნავს ამ უფლების უარყოფას.

8.2. ხელშეკრულების ვადის გასვლის ან მოშლის შემთხვევაში, ყველა სახის გაუმჯობესება და რემონტი „იჯარის ობიექტზე“, რომლის მოცილებაც შეუძლებელია დაზიანების გარეშე და წინასწარ იყო შეთანხმებული „შეიჯარესთან“, რჩება „შეიჯარეს“, რისთვისაც იგი ვალდებულია გადაუხადოს „შეიჯარეს“ ამ გაუმჯობესებების ჩამართლიანი ღირებულება ცვთის გათვალისწინებით.

- 8.3. იმ გაუმჯობესებების დემონტაჟი, რომლებიც საჭირო იყო მხოლოდ „მოიჯარისათვის“ მისი საქმიანობის სატექნიკოდან გამომდინარე, უნდა განხორციელდეს „მოიჯარის“ ხარჯით.
- 8.4. თუ წინამდებარე ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს არ გამოიწვევს მთელი ხელშეკრულების ან მისი სხვა პირობების ბათილობას. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი, რომლითაც უფრო ადვილად მოიწვევა ამ პირობით დასახული მიზანი.
- 8.5. ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამოსილებებზე.
- 8.6. მხარეები ვადასტურებთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონიერული განხილვის შედეგად და მასზე ხელმოწერა პირებს აქვთ ხათანადო უფლებამოსილება.
- 8.7. ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა შორის დაეკუთვნება პირველი იმტანგით განხილვად სასამართლოს წარმადგენს იჯარის ობიექტის მდებარეობის მიხედვით არსებული სასამართლო.
- 8.8. წინამდებარე ხელშეკრულება მოიცავს მხარეებს შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას, ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება მოკლებულია იურიდიულ ძალას, თუ არ არის შედგენილი წერილობით ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.
- 8.9. წინამდებარე ხელშეკრულება განმარტდება და რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- 8.10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე 3 (სამი) ეგზემპლარად. თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი ხოლო ერთი ეგზემპლარი, კანონმდებლობის ან რომელიმე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, რეგისტრაციის მიზნით წარედგინება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს.

სს „სარინი“

ქ. რუსთავი, ჯავახიშვილის N9  
 ტელეფონი: 599504948  
 საბანკო რეკვიზიტები:

*[Handwritten Signature]*  
 12 09 22  
 იუნა ჩუბინაძე  


შპს „სტანდარტი“

თბილისი, კრწანისის რაიონი, კრწანისის ქუჩა, II შესახვევი, N 15, კორპუსი N3, ბინა N50ა ტელეფონი 592177777  
 საბანკო რეკვიზიტები:

*[Handwritten Signature]*  
 კაბაქაძე ნინო  


# დანართი N3



## საკადასტრო გეგმა

საქართველოს ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **02.05.03.698**  
 განცხადების ნომერი: **902018133825**  
 მომზადების თარიღი: **28/12/2018**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო საშენი**  
 ფართობი: **23400 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**

